

# ქართული ენობის საქართველო

IX წ.

საყოველთაო საქართველო

IX წ.

№ 44.

კვირა, 28 თებერვალი 1901 წელსა.

№ 44.

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., საბი თვით 2 მან., თითო ნომერი - სამი შაური.

სულის მოწერა მიიღება: თფილისში - «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, თეატრის ქ., № 12. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „КВАЛИ“.


შინაარსი: საფრანგეთის ლიტერატურა მე XIX საუკუნ. - შინაური მიმოხილვა. - სხვა და სხვა ამბები. - კორესპონდენციები. - რუსეთის ცხოვრება. - საზღვარ-გარეთ. - საყურადღებო პრაქტიკი, ნ. ელიავასი. - ნაპერწკალს, ლექსი კ. მიქელაძისა. - ყაჩაღი, მოთხ. ი. ველოშვილისა. - წერილები თიანეთიდან, სეკ. ჯ. ელისა. - ბუნებისმეტყველების დედაზრი მე-XIX საუკუნეში, პ. ს. ძესი. - ცოტა რამ ექიმთა და მეფთეექთა პრაქტიკიდან. - ქართული თეატრი. - წერილები რედაქციის მიმართ. - განცხადებანი.

## საფრანგეთის ლიტერატურა მე-XIX საუკუნეში.

### 2. ვიქტორ ჰიუგო და თნორე ბალზაკი.

1885 წლის 22 მაისი საფრანგეთისათვის არა ჩვეულებრივი დღე იყო. მთელი პარიზი ფეხზე იყო წამოყენებული, ყველა ერთი ადგილისაკენ მიემზურებოდა. ეს ადგილი იყო სახლი ვიქტორ ჰიუგოსი, რომელიც ამ დღეს გარდაიცვალა. საფრანგეთმა დაკარგა ამ დღეს დიდებული პოეტი და საფრანგეთის ლიტერატურამ - თავისი რომანტიზმის მამამთავარი. ვიქტორ ჰიუგო დაიბადა ბეზანსონში 1802 წელს. მამა მისი გუბერნატორათ იყო ისპანიაში და ამიტომ თავისი ბავშვობა ჰიუგომ მადრიდში გაატარა. როდესაც მომავალ პოეტს თერთმეტი წელი შეუსრულდა, დედა მისი ყველა შეიღებოთ პარიზში გადმოსახლდა. ჰიუგო აქ სასწავლებელში მიიბარეს, მაგრამ სასწავლებელში ის უმეტეს დროს ლექსების წერას ანდომებდა. როდესაც ჰიუგო 15 წლისა გახდა, სასწავლებელს სამუდამოთ დაანება თავი და ლიტერატურულ შრომას მოკიდა ხელი. მამა მისი დიდი წინააღმდეგი იყო შეიღის ამგვარი მიმართულების, მან ყოველგვარი

დახმარება მოუხპო ჰიუგოს იმ იმედით, იქნება ამით შევაწუხო და ლიტერატურაზე ხელი ავაღებინოვო, მაგრამ ვიქტორ ჰიუგოს ვერაფრითარი დაბრკოლება და გაჭირვება ვერ აფერხებდა. ლიტერატურული შრომით ის შოთლობდა თავისათვის საკმაო დღიურ ლუკმას; 1822 წელს გამოცა თავისი «Odes et Ballades», რომელმაც ერთბაშათ მოუპოვა მას არა თუ სახელი, არამედ ცხოვრების სახსარიც: მას დაუნიშნეს «მეფის პენსია» ორი ათასი



ვიქტორ ჰიუგო.

თნორე ბალზაკი.

ფრანკი. ამ დღიდან მოკიდებული ჰიუგო უკანასკნელ ჟამამდე წერს ლექსებს, რომანებს, პიესებს და იმავე დროს მონაწილეობას იღებს რამდენიმე გაზეთში. 1827 წელს დაიბეჭდა ჰიუგოს დიდი დრამა «კრომველი», რომელმაც საფრანგეთის ლიტერატორები მაშინათვე ორ ბანაკათ დაყო და ამ ორ ბანაკს შორის გამწვავებული კამათი ატყდა. ყოველივე ამის მიზეზი იმდენათ თვით დრამა არა ყოფილა, რამდენათაც მისი წინასიტყვაობა. წინასიტყვაობაში ჰიუგომ უარპყო ცრუკლასიკური პრინციპები და მათ მაგიერ მოითხოვა ჩვეულებრივი ადამიანებისა და მათი გრძობათა ხატვა პიესაში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ იმ დროს საფრანგეთში კლასიციზმი ჯერ ძლიერი იყო, ცხადი იქნება, რომ „კრომველის“ წინასიტყვაობა ნამდვილი მანიფესტი იყო ახალგაზდა რომანტიული სკოლისა; ეს კარგათ იგრძნეს კლასიციზმის მომხრეებმა და მოინდომეს რომანტიზმის ჩახშობა, მაგრამ ახალგაზდა პოეტები შეერთდნენ ჰიუგოს მეთაურობით და რომანტიზმი მალე გაამყვს საფრანგეთის ლიტერატურაში. ორმოცდასამ წლამდე ჰიუგოს დაწერილი აქვს რამოდენიმე დრამა, რომელთა შორის საუკეთესოთ უნდა ჩაითვალოს „ერნანი“. ამ პიესის უმთავრესი გმირი ერნანი ფირალია (ყაჩაღი), თუმცა ამდღებულნი ზნეობისა და მისწრაფების ფირალი. კლასიციზმის მომხრეებმა სცენაზე უბრალო ფირალის გამოყვანა ძველი ტრადიციების შეურაცყოფათ ჩათვალეს და ამიტომ ყოველი წარმოდგენა ამ პიესისა დაუსრულებელ ბრძოლას იწვევდა: ლიტერატურის ახალი მიმართულების მოწინააღმდეგენი ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ, რომ „ერნანი“ როგორმე გაედევნათ სცენიდან, მაგრამ რომანტიულმა მიმართულებამ თვითონ განდევნა კლასიციზმი და თავისკენ მიიმხრო როგორც სცენა, ისე ხელოვნების სხვა ასპარეზიც.

ჰიუგოს მოღვაწეობა მარტო მწერლობის ასპარეზით არ ყოფილა შეზღუდული; 1841 წელს ის ამოირჩიეს აკადემიის წევრათ, 45 წელს კი მეცხრე. ყმაწვილობაში თავისი პოლიტიკური რწმენა-შეხედულებით ჰიუგო ბონაპარტიტი იყო და ერთ თავის ლექსში „Ode à la colonne“ ის დიდი თავყანისმცემელია ბონაპარტესი, მაგრამ ჰიუგოს პოლიტიკური შეხედულებანი დროს განმავლობაში თანდათან იცვლებოდნენ და 49 წლიდან ის გახდა უკიდურესი რესპუბლიკანელი, მან მოითხოვა საზოგადო საარჩევნო უფლებანი, ლუი ნაპოლეონის წინააღმდეგ ამხედრდა, როგორც კალმით, ისე მოქმედებით, მის წინააღმდეგ ბაროკადებშიაც კი იბრძოდა და სასჯელს მით ვადურჩა, რომ საზღვარგარეთ გაიქცა და ჯერ ბელგიაში ცხოვრობდა, შემდეგ—ნორმანდიის კუნძულებზე. სამშობლოს გარეშე მან დაპყო 1852 წლიდან 70 წლამდე. თუმცა იმპერატორმა მას ყოველივე აპატია და პარიჟში დაბრუნების ნება მიცა, მაგრამ მან ამით არ ისარგებლა და იმპერატორს შემოუთვალა: მე და თავისუფლება ერთათ მოვალთო. ამ დროს განმავლობაში ის წერდა და გზავნიდა საფრანგეთში სასტიკ პაემოლებებს ნაპოლეონ III-ის წინააღმდეგ. ამ ხანებშივე დაწერა მან თავისი საუკეთესო რომანები, ამავე დროს ის ეხმარებოდა გარიბალდის იტალიის განთავისუფლებაში და მის სასარგებლოთ ფულს აგროვებდა. 1870 წელს ის დაბრუნდა პარიჟში და განაგრძო თავისი მრავალმხრივი მოღვა-

წეობა; საზოგადო საქმისა და ლიტერატურისათვის სიკვდილამდე თავი აღარ დაუნებებია.

ნიქის სიერცითა და მრავალფერობით ჰიუგო იშვიათ პოეტს წარმოადგენს. ის არა თუ ძლიერი პოეტი იყო, ის იყო მეტათ ზნემაღალი ჟურნალისტიც, რომელიც უყურადღებოთ არ ტოვებდა არავითარ მოვლენას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ყოველგვარ უსამართლობას სასტიკათ ებრძოდა. ის შესანიშნავია, როგორც ლირიკოსი, რომანისტი და დრამატურგი. თავის ლირიკაში ის გულ-წრფელათ გვიხატავს თავის საკუთარ გრძობებს და თავის იდეალებს. რომანებში და დრამებში ჰიუგო ყოველთვის რაიმე განყენებულ იდეას ატარებს და ეს იდეა იმდენათ იმორჩილებდა ავტორის მთელ ნიქსა და ყურადღებას, რომ მისი მომქმედნი პირნი ხშირათ ბუნებრივობას მოკლებულნი არიან. საფრანგეთის თეატრს მან დაუფასებელი სამსახური გაუწია მით, რომ სამუდამოთ დაამარცხა კლასიციზმი და თეატრი ადამიანის გულისა და ცხოვრების სარკეთ გახადა. ჰიუგომ შექმნა არა თუ ახალი თეატრი, მან შექმნა ახალი ლიტერატურული ენა; მისი პოეზიის ენა იმდენათ მდიდარია, პლასტიური და მუსიკალური, რომ საფრანგეთის კრიტიკის აზრით მას ბადალი არა ყავს ფრანგთა ლიტერატურაში.

თუ საფრანგეთის რომანტიზმის მამამთავარი ჰიუგო იყო, რეალიზმის დამწყებათ სამართლიანათ ითვლება ონორე ბალზაკი. ის დაიბადა 1799 წელს 20 მაისს ტურინში. გიმნაზიის გათავების შემდეგ ჯერ მწერლათ იყო ერთ ვექილთან, მაგრამ მალე დაანება მას თავი და ცარიელი ჯიბით მოაშურა პარიჟს, რამ აქ ლიტერატურული შრომისათვის მოეკიდა ხელი. პირველათ თავისი კალამი მან ტრაგედიაში ცადა, მაგრამ მისი პირველი ტრაგედია კრიტიკამ ისე გაკიცხა, რომ ბალზაკმა საშუალოდამო. დაანება თავი ხელოვნების იმ დარგს და რომანების წერას მოკიდა ხელი. რადგანაც ბალზაკი ძალიან გაქირავებულ ნდგომარეობაში იყო სიღარიბისა გამო, ამიტომ პირველ ხანებში თავისი ნაწერები მას იმდენათ აინტერესებდნენ, რამდენათაც მათი შემწეობით ახალგაზდა მწერალი ფულს შოულობდა; 1826 წელს ბალზაკმა განიზრახა წიგნების გამომცემლობა, მაგრამ ვალოებში გაება ფულის მოგების ნაცვლათ და მთელი სიცოცხლე ამ ვალების გადახდას მოუნდა; ის მთელი დღეები, ხშირათ დღედაღამე წერდა ხოლმე და რომანს რომანზე აძლევდა დასაბეჭდათ. მიუხედავათ ასეთი აჩქარებული შრომისა მან მალემ ოპოვოვა გამოჩენილი რომანისტის სახელი. 1836 წელს ბალზაკმა განიზრახა ერთათ შეეერთებინა ყველა ის რომანები, რომლებიც უკვე დაწერილი ქონდა ან შემდეგში დაწერდა და ამგვარათ გამოეცა მთელი ეპოსი „Comedia humaine“-ს სახელით (ადამიანის კომედია). ბალზაკის განზრახვა მეტათ ორიგინალური იყო. მას უნდოდა ამგვარათ დაეწერა საფრანგეთის თანამედროვე საზოგადოების მთელი ისტორია, მაგრამ თავისი განზრახვა ბალზაკმა ვერ დააბოლოვა, რადგანაც ჩამეტანი შრომისგან დასნეულდა და 1850 წელს გარდაიცვალა.

საზოგადო საქმეში ბალზაკი ჰიუგოსავით მონაწილეობას არ იღებდა, თავისი სიცოცხლის უმეტესი დრო მან წერაში გაატარა. ბალზაკის უმთავრეს თვისებებს შეადგენს დაუღალავი შრომა, მძლავრი დაკვირვებითი ნიქი



და გასაოცარი მესხიერება. თავის ნაწერებში ბალზაკი ხატავდა თანამედროვე საფრანგეთს მთელი მისი ღირსება-ნაკლულეფანებით; ყველა ის პირნი, რომლებიც მის რომანებშია, ნამდვილი ცხოვრებიდან არიან ამოღებულნი და ამიტომ ბალზაკის ნაწერები მთელ გალერეას წარმოადგენენ საფრანგეთის და განსაკუთრებით პარიზის ტიპებისას წარსული საუკუნის პირველ ნახევარში. ბალზაკი სამაგალითო მხატვარია ბურჟუაზიული ცხოვრებისა. საფრანგეთის ლიტერატურაში ყველაზე უმაღლეს მან მიუთითა საზოგადოებას ფულის ძლიერებაზე თანამედროვე ცხოვრებაში და ბევრი მისი რომანის უმთავრესი გმირი ფულია, თუ შეიძლება ასე ვთქვათ. ბალზაკი მიუდგომელი მხატვარი იყო ყოველივე იმისი, რასაც ცხოვრებაში ხედავდა, ობიექტური მეთოდი, ავტორის მე-ს ამოშლა, მის ნაწერებში უმაღლეს წერტილამდე არის აყვანილი და ამიტომ რაიმე იდეალს მის რომანებში მკითხველი ტყუილათ დაუწყებს ძებნას. მისი ერთადერთი იდეალი იყო სიმართლე და ძლიერი დაკვირვებითი ნიჭით აღჭურვილმა ბალზაკმა საუცხოვოთ გამოიღწრა თანამედროვე ცხოვრების დამახასიათებელი თვისებანი.

**შინაური მიმოხილვა.**

დღესთვის დანიშნულია წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა საზოგადო წლიური კრება, რომელიც აქამდინ ყოველთვის გაზაფხულის გასულს ხდებოდა, რასაც თავისი საბუთი ქონდა. არ ვიცი, რათ უღალატა ჩვენმა გამგეობამ ამ წესს, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის მზრუნველობას რამდენიმე ჩვენთვის მეტათ მნიშვნელოვანი სკოლა აბარია; მათი ბედობლით, მათში სწავლის საქმის მიმდინარეობით საზოგადოებაც ძლიერ დაინტერესებულია, და დარწმუნებული ვართ, არც არაფერს დაიშურებს მათა დასახმარებლათ, მაგრამ დახმარებაც დროზე იყო და არის საჭირო; და ალბათ ამ მოსახრებით იყო შემოღებული ზაფხულის დამდევს კრებების მოხდენა. ჩვენი სკოლები რომ საზოგადოების ყურადღებას და დახმარებას საჭიროებენ, ამის მაგალითისთვის შორს არ დაგვიჭირდება წასვლა. ბათუმის სკოლაში დღეს ორას ოცდასუთი ბავშვია (იხ. „კვალი“ № 40) და მხოლოდ ორი მასწავლებელი! განა წარმოსადგენია ორი მასწავლებელი, რაგინდ ბეჯითი და ენერგიული იყოს, ამდენ ჯარს გაუძღვეს და სწავლის საქმე არ შეფერხდეს?! რათ არის მონდომებული გამგეობა, რომ სამაგალითო სკოლას, რაც მისმა რევიზორებმაც არა ერთხელ აღიარეს, სახელი გაუტყდეს? ნუ თუ არ ესმის, რომ ბათუმელი მასწავლებლებიც აღამიანებია, რომელთა ძალღონეს საზღვარი აქვს?! ამისთანა საჭირო და გასაჩივრი კითხვები, დარწმუნებული ვართ, სხვაც იქნებოდა. გავიხსენოთ თუნდ ბედქრული ფოტოგრაფია. ყოველი თვე, ყოველი კვირა და ყოველი დღე ამ ფოტოგრაფიის ახლანდელი წესით წარმოებისა მხოლოდ დეფიციტსა და ზარალს მატებს საზოგადოებას. საინტერესოა გვიანგარიშებდეს გამგეობა, რამდენი იყო ზარალი ამ ხუთი თვის განმავლობაში, რომელიც მარტო კრების გადადებით არის გამოწვეული... კიდევ ბევრი რამ არის საინტერესო გამგეობის მოქმედებაში, მაგრამ მათი გამეორება მეტათ მი-

გეჩნია (იხ. «კვ.» №№ 27 და 43). აქ საჭიროთ ვთვლით აღნიშნულ მხოლოდ გამგეობის ორი საბუთი, რომლებითაც მუდამ თავს იმართლებს იგი: პირველი მიხეზი მისი უმოქმედობისა არის გარეშე პირობები, მეორე—სახსრის უქონლობა. აი ამაზე არის მუდამ დამყარებული ყოველივე მისი ახსნა და განმარტება. უნდა გამოვტყდეთ, რომ არც ერთი მისაღები არ არის. პირველის მიღება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა გაგეობა საქმით გეჩივრებს და დაგვიტყიცებს, რომ რისამე ვაკეთების სურვილი მაინც ქონდა და თავისი მხრით არც ცდა დაუკლია. ამას ველით დღეს გამგეობისაგან. რაც შეეხება მეორეს, იმისი უმთავრესი მიხეზი თვითონ გაგეობა არის. წარმოუდგენელია, უმოქმედო, უძრავა და გაყინულმა გამგეობამ ვისიმე სიმპატია მოიპოვოს და პირიქით გული არ აუტრუოს საზოგადოებას თუნდ ისეთ საჭირო და სასურველ დაწესებულებაზე, როგორც წერა-კითხვის საზოგადოებაა. საკვირველი აქ უფრო ის არის, რომ ამდენი სიმპატია კიდევ შერჩენია საზოგადოებას, რასაც ახალ წევრთა რიცხვის ზრდა გვიმტყიცებს. რასაკვირველია, ჩვენ არც საზოგადოების წევრების მოქმედებით ვართ კმაყოფილი და არ შეგვიძლია გამგეობის პასუხისგების მონაწილეთ ისინიც არ გავხადოთ. მართლაც და, რით შეიძლება იმ საზოგადოების გამართლება, რომლის კრებებს თითქმის შეიდასი წევრიდან მხოლოდ 19 ესწრება და ამათში 13 გამგეობის წევრია. რა კრიტიკას, რა მოქმედების დაფასებას ექნება ადგილი იქ, საცა უმრავლესობა თავისივე ნამოქმედარის დამფასებელია და თავის თავის ამრჩეველი! რით აიხსნება, რომ ჩვენ ხსოვნაში ერთი მაგალითი არ ყოფილა, პირველი კრება შემდგარიყოს, რომლისთვისაც მხოლოდ 50 კაცია საჭირო?

დამნაშავეა ამაში საზოგადოების წევრები, ხოლო მთავარი მიხეზი აქაც გამგეობაა, და დრო არის ბოლო მოეღოს ორივე მხრით უმოქმედობას. ასეთ საქმეში მეტი ენერგია, მეტი შრომა და საქმისადმი მეტი სიყვარულია საჭირო. დრო არის გამგეობა საღათას ძილიდან გამოერკვეს, და საზოგადოებამაც აქტიური მონაწილეობა მიიღოს მის სვე-ბედში. ამით ვათავებთ ჩვენ შენიშვნებს წერა-კითხვის საზოგადოებაზე, იმ იმედით გამხსნევებული, რომ არა ჩვეულებრივი დრო კრებისა არა ჩვეულებრივ შედეგს მოიტანს: ჩვეულების წინააღმდეგ, დღეს პირველი კრება შედგება და მასზე ადგილი ექნება გამგეობის მოქმედების დინჯ და დარბაისლოურ დაფასებას.

\* \*

ბევრი, ძალიან ბევრი მასალა დაგვიგროვდა ჩვენი მიმოხილვისთვის, მაგრამ იძულებული ვართ შემდეგისთვის გადავდეთ მისი გარჩევა, აქ კი ნებას ვაძლევთ თავს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ პატარა, მაგრამ პატარა კაცუნას დამახასიათებელ მოვლენას. გეხსომებათ, ჩვენ მიმოხილვაში ორჯელ ამოყო თავი «მედიცინის დოქტორმა» ბ. თიკანაძემ, და მით, გვეგონა, გავათავეთ მასთან საქმე. მაგრამ დასაკლავი ქათამი ხომ თითონ გამოჩნრკეს ხოლმე, ჩვენებური ანდაზით, თავის დასაკლავ დანას, და ასე მოუვიდა «მედიცინის დოქტორსაც». ის არა თუ ავთამყოფს ტოვებს დაუხმარებლათ, უხერხულ საშუალებასაც ხმარობს. წაიკითხეთ ამავე ნომერში პატივცემული მღვდელის წერილი და დაინახავთ, რაში მდგომარეობს ეს „უხერხულობა“. „კვალის“ № 36-ში ჩვენ დავსტამბეთ ხსენებული

მღვდლის „წერილი რედაქციის მიმართ“ და ავტორს კი ახლა გაუგია, რომ იგი მისდა დაუკითხავთ გაზეთის ფურცლებზე გამოქიშეს; მას არც კი ქონია წარმოდგენილი, თუ დოქტორი ამას იკადრებდა და ძნელი წარმოსადგენიცაა. ნუ დაიზარებ, მკითხველო, და შეუფარდე მღვდლის ნამდვილი წერილი და მის მაგიერ ბ. თიკანაძის დაწერილი; შეადარეთ ენა, შინაარსი, მიიღეთ მხედველობაში ბ. თიკანაძის საშუალება თავის მართლებასა და დასდევით საპართლიანი მსჯავრი, რამდენათ ლამაზია ასეთი ქცევა და რამდენათ შვენის იგი „ლიბერალ მელიცინის დოქტორს“...

**სხვა-და-სხვა ამბები.**

დღეს, დღის 11 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში მოხდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიური კრება.

რუსეთის ებრაელთა შორის განათლების გამავრცელებელ საზოგადოებას საერო განათლების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღუქმავს, რომ მთავრობის სასწავლებლებში ებრაელების განსაზღვრულ რიცხვის მიღება გაუქმებულ იქნას და ებრაელებისათვის ცალკე სკოლების გახსნის ნება დაერთოს.

საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს ქალებს ვაჭების გიმნაზიებში მასწავლებლობისა, არა მხოლოდ უცხო ენებისა, არამედ დანარჩენ საგნებისაც პირველ ოთხ კლასში.

დ. ყვირილაში გაუხსნიათ პირველდაწყებითი ერთკლასიანი რკინის გზის სასწავლებელი. ამ თავით მიუღიათ რკინის გზის მოსამსახურეთა 120 ბავში.

თფილისის ებრაელ მკერვალებს განუზრახავთ საურთიერთო დახმარების საზოგადოების დაარსება და წესდების პროექტიც წარუდგენიათ თფილისის გუბერნატორისთვის. გუბერნატორს ეს წესდება უკანვე დაუბრუნებია მათთვის და უპასუხნია, რომ პროექტის დამტკიცება შეუძლებელია, სანამ არ გამოიკვეცა, აქვთ თუ არა ხელოსან ებრაელებს თფილისში ცხოვრების ნება.

საერო განათლების სამინისტრო მომავალი წლისათვის თხოულობს განსაკუთრებულ კრედიტს პირველდაწყებითი სკოლების მასწავლებლებისთვის დამატებით და გასამეორებელ კურსებას გასამართავათ.

როგორც ჩვენმა მკითხველებმაც უწყია, წელს სიღნაღის მაზრაში მოუსავლობაა, და იქაური გლეხები სათესლე პურს ყარსისა და ერევნის გუბერნიებიდან ეზიდებიან.

კომერციულ სასწავლებლებში კურს დამთავრებულთ ნება მიეცათ მომავალი წლიდან უეგზაშენოთ შევიდნენ მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

თფილისის ქალაქის თავმა წინადადება მიცა ლამის თავშესაფართა გამგე კომისიას, რომ გააუქმდესონ თავშესაფარების მდგომარეობა.

თფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოების კონდუქტორებისთვის ხსენებულ საზოგადოებას დაარსებული ქონდა საურთიერთო დახმარებელი კასსა, მაგრამ საზოგადოებამ ეს კასსა გააუქმა კონდუქტორების და ქუჩრების არეულობის გამო. ახლა, როგორც ვაზ. «კავკასი» იუწყება, კონდუქტორებს მაუშართავთ საერთო თხოვნით ტრამვაის გამგეობისთვის, რომ კასსა კვლავ იქნას დაარსებული წინანდელი წესდებით.

თფილისის ციხეებში 24 ოქტომბერს ითვლებოდა 744 ტუსალი. ამათში საგუბერნიო სატუსალოში იყო 328 სული, მათში 21 ქალი. სატუსალოს საეადმყოფოში იწვა 63 კაცი და 6 ქალი. მეტეხის ციხეში—249, ამათში 2 ქალი. ციხის საეადმყოფოში იწვა 92 კაცი და 6 ქალი. სულ მეტეხის ციხეში იყო 347 ტუსალი.

გზათა სამინისტროს შეუმუშავებია ახალი პროექტი რკინის გზებზე კონტროლის გასაძლიერებლათ. შეიცვლება ბილეთების ფორმა და გარდა ამისა ყოველ მატარებელში იქნება დაყენებული აგენტი, რომელიც თვალყურს ადევნებს კონდუქტორების მოქმედებას.

როგორც გადმოგვცეს, დრამატიული საზოგადოების წლიური კრება მოხდება ნოემბრის პირველ რიცხვებში.

სათავად-აზნაურო სასწავლებლის შენობის ასაგებათ თ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის უსესხებია კრდე 15,000 მანათი.

ქალაქის გამგეობის მეოთხე წევრათ არჩეულ იქმნა ინჟინერი ენფიანჯიანცი.

ჯერ კრდე არ დასრულებულა თფილისში მკვინემევენახეთა კრება, რომელიც უმთავრეს ყურადღებას აქცევს ლენის ფალსიფიკაციასთან ბრძოლს და აგრეთვე ლენის ხმარების გავრცელების საშუალებათა გამოძებნას.

21 ოქტომბერს თფილისში გაიხსნა მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოების ვანყოფილება.

23 ოქტომბერს დაიწყო სამინდერო კულტურის მოღვაწეთა კრების სხდომები.

ქუთაისის სავაჟო გიმნაზია თხოვს შეატყობინონ, სად სწავლობენ შემდეგი ყმაწვილები: ალექსანდრე ჯაფარიძე, ნიკ. ლლონტი, თედო კაკოიშვილი, ინდიტორან ჯაფარიძე, გერმან გოგიტიძე, ალექსანდრე ლლონტი, იასონ კიზირია, ნიკ. მგელაძე, ივანე ჯაფარიძე, ალექსანდრე ნიკოლაიშვილი, დიმიტრი ანთაძე, ალექსანდრე ჯაშა და მიხ. მღვიანი. ეს ცნობები გიმნაზიის მპართველობას ქორია იმის გამოსარკვევათ, თუ ვინ უნდა დარჩეს ამთვანი პანსიონში მისაღებ კანდიდატთა სააში.

**კორესპონდენციები.**

ს. მათხოჯი (ქუთაისის მაზრა). წრკუნდელი წელიწადი ჯერაფერი ნაყოფაყრა შეიქნა ქაქუჩი მშრომელი ხალხსათვის; სიმინდის მასაცალი ძღაჟ ნაკლები იყო და ღვინო



სომ მესამედ იც მისულა. პირველის მიხედვით იყო გამოდგებულნი წვიმები და მეშის სიძვირე, (დღიური მეშა ფასობდა 1 მანეთიდან 1 მ. 20 კაპიკამდე) სოლო მეორესი დროზე უწამლობა; მაგრამ ღვინის მოუსავლობას ჩვენი სოფლის ასალგაზდობა მანინ არ შეუშინებია; ისინი მიუსვდავით ღვინის სიძვირასა არი-არაღეს იმასთან; როგორც მოგვსინებთ, მათი გამამისარელებელი მასლაც არღნებია, და თუ ჩვენი სოფლის გადასამხრებელი ზოგერთი ასალგაზდობა მიუსვდავით თავიანთი ოჯახის საჭიროებისა ღვინის სიმში და არღნებით დროების ტარებაშია, სამაგიეროთ მათი უფროსები და მამები წყველ-გარეგანში ატარებენ თავიანთ დღე და ღამეს. ამის მიხედვით გასლავთ ჩვეულებრივი ყოველ წლივ განმარებული ქერდობა. ს. მათხროში თუმცა ყოველ წლივ ასაკ და სლავსინე ძლიერ შეწესებულნი იყო, მაგრამ წელს ვი ნამეტანი გათამამებული ქერდობა დაწვეს. თუ საქონელი თვალდას მოგშორდა და სელში არა გუას, ის მეჩე შენი აღარ არის, საბალასოზე თუ გაუშვი, უთუოთ მოგტარებენ და მის საკვალესაც არ გაჩვენებენ. ამ ორი კვირის განმავლობაში მოიტარეს ჩვენში 8 სული სარი და ძროხა, 4 ცხენი. მათხროლია, წინა წლებშიც იმარავდენ საქონელს, მაგრამ მონასვამანინე შეიძლება, შეჩენილი გარების წყალობით (აღბით ისინიც ქერდების მონაწილეებია) მსოფლით თითო სულ მონასულ საქონელზე თითო თემანი უნდა მიგვეცა; დღეს ვეღარც თემანი გვშეგლის და საქონელიც ბევრი ივარდება, და ამისთანა ქერდობის წინააღმდეგ ვერ არავითარი ზომები არ არის მიღებული! ჩვენი დამსმარე არაინ შეიქნა, სტრანეიკების ფულს გასდევინებენ, მაგრამ რა ფორმისა არიან, არც ვიცივობთ. ამ დღეებში ჩვენი სოფლის მამასლავისი მოდიოდა დ. სონიდან გარანათ შეზარხობული. შეგულ სოფელში №-ის დუქანზე ცხენი შეჩერდა და თითონ ვი შიგ შევიდა; იქ რამდენიმე პირი ღვირს სვამდა, მამასლავისი მიიწვიეს აქ, არღნინე ვი ახლრიაღეს; ამით ქვიფში მამასლავისის შეგამსული ცხენი იგლო ვიღამაც სელში და მოკურცლდა. ეს იყო ღამის 8 ან 9 საათზე. ცხენის წყუხა მალე შეიტყვეს, მამინე გამოვდგენ, მარა დღესაც სამეხნელია და მონახვა საკვლავ.

ამ დღეებში ერთმა მეკასემ, თავისი «ღისტის» ძალით, ერთი გლეხი აყარა: წართვეს სასლი ყოველივე მოძრავი და თვით ეზოც; ამ საწყალს თავისი ძველი ღოგინი კარში გამოუყარეს და გაუშვეს ღვთის ანბანით. ეს სურათი რომ ეხანსა, თვით იუდასაც ვი შეებრალბოდა, მაგრამ ამ გულჭამ მეგანსმისთან არავითარი სვეწნა-მუდარა არ გავიდა. როგორც ამბობენ, ამ მეკასემ თავისი ფულის თავნი სარტებლის სარტებლით მიღებული ჭქონია, მაგრამ საუბედურთ «ღისტზე» არავითარი წარწერა არ ყოფილა და კიდევ იმას გამოსოდა: ეს ეზო სასლავარი ვაჭრობით დამჩნა და ღისტები მანინ უნდა გამოსტუმროსო. რა უნდა ქნას იმ საწყალმა, ღვთის ანბანით რომ გაუშვეს მინდორში, რომელსაც არც სასლი აქვს და არც კარი. გამოიგონია, ბატონი თავის უმას ავიღებდა, სასლს წართმეკდა და სსვ. და ასლავ ვი სამღვილათ ეხანე, რა ყოფილა კანის აურა, მაგრამ კანინ არის და კანინ: ეს საწყალი კანი იქნება 50 ან 60 წლის მოსუნი, თვალშიც ვერ იუყრება, ბრმა და არც სოფლიური მოსურსება აქვს, რომ თავს უშველს, შებრალბის მაგიერ ერთმა მეკასემ დამქამა კარები და წინა სასლის სვეტი ნაკვასით დაჩუხა, რომ კვლავ თავი არ შეაფაროს შიგო.

კლასიონ მელოძე.

მ. ირკუტსკი (რეზიორი). ქ. ირკუტსკში კარგი ხანია ატივდა და დღეს თოვლიც არის, რომელსაც თან მოყვა ჩვეულებრივი უბედურება: კანის კვლა, მარცვა-გლეჯა და სსვ. ერთი ორთ გაკრცულდა ქ. ირკუტსკში და ირკუტსკის ასლომასლო ადგილებში. ამის მიხედვით ის არის, რომ ირკუტსკის ქვის ოსტატებს, მალარებს და შავ მეშებს, ზამთარში არავითარი სამუშაო არა აქვთ, რადგანაც აქ ზამთარში სასლების შენება, ღებვა და სს. შეწვეტილია. არც ისეთი ქარსნები არის, რომ 100—200 მეშამ თავი შეაფაროს და შრომით თავი იჩინოს. არის მსოფლით 4—5 ლუდის ქარსნა და 4—3 არყის საწობი, რომელსაც ცოტა მეშა ჭირდება. დანარჩენები ვი მშიერ-მწეურვალნი და შიშველ-ტიტველნი დეფალობენ ქუჩებში. ამ ცუდით ყოფინამ ბევრი უბედურება მოასდინა, როგორც ქალაქში, ისე ქალაქის ასლო-მასლო სოფლებშიც.

ამ განმარებული ბორცტ-მოქმედების მსსვერული შეიქნა ერთი ჩვენი გადმოსასლებელი თანამემამულეც — დ. კედაი. დ. კედაის ქონდა არყის სავაჭრო დუქანი ს. სიკოლში. სსვისი ვისის შემეურე ავასაკებმა შენიშეს თურმე საწყალს, რომ რამდენიმე ასი მანეთი ჭქანდა და გადაწვიოტეს, ფულები წაერთმიათ. სქეტებრის 17-ს სადამოს მივიდენ დ. კედაის სავაჭროში და ღამის გათყვინება თსოვეს მასმინძელმა მიიღო ბორცტი სტუმრები, ვასამი მიათვავ (ეს იქიდან ჩანს, რომ მეორე დილას ჩვენებური ღვინით ბოთლები ნასეს სეფრანზე) და ვასშის შემდეგ მოუსვენა. როცა ბორცტმა სტუმრებმა ნასეს, რომ მასმინძელი ღრმა ძალს მიეცენ, წამოდგენ, თითო მათგანი თითო მმანაკს ჩამოეჩვიდა და ისე ერთბაშით ოთხივე გამოასლამეს წუთის სოფელს. საწყალ დ. კედაის მისივე თოფი კრეს გულში, ცოლს სასკალი ჩასტეს გულში, სიდედრს ცუდით წაჭრეს თავი და შატარა ბიჭს, ცოლის მმას, რვინის ვოხით დეუმსკრავს ცხვირ-პირი. მოსურებული ქალის დაშვებული სასე ამტვიცნება, რომ საწყალს ბევრი ეომა მტერთან. ამ ამბავმა დიდათ შეაწუხა ირკუტსკის ქართველობა და სქტეობისათხვე სასტიკათ ძებსა დაწვეს დამნამვეთ, მაგრამ კვრავინ იზოვეს. ირკუტსკის გუბერნატორას ნება დართვით 24-ს სქეტებურს ქართველებმა მოასვენეს მიცვალბულები ქ. ირკუტსკში და მწარე სვედრით გულდათუთქულებმა დიდი შატევისტებით დასაფლავეს.

ირ—ალ—გოგოლაძე.

ქ. ირკუტსკი.

რუსეთის ცხოვრება.

როგორც სატასტო ქალაქების გასეთება იუწებთან, შესამჩნევი ცვლილება მოელის საკობო თვითმართველობასაც. საგუბერნიო ურობათა გამეობის თავმჯდომარეს და წვერებს მთავრობა დანამხავსო, ისე როგორც შეტებურვის ქალაქს თვითმართველობაში.

— შეტებურგში, როგორც ადგილობრივი სასიტარული კომისიის ანგარიშიდან ჩანს, გასულ 1900 წ-ს გარდაცვლილა 16.726 მამაკაცი და 13.590 დედაკაცი. ვარის-კაცი 322 მოძვედარა, დაბადებულა მკვდარი 1727. ქალაქის მასლობელ ადგილებში ვი (пригороды) გარდაცვლილა 5832 ორივე სქესისა, მკვდარი დაბადებულა—212. ამ რიგით შეტებურგში წლის განმავლობაში კვდება კარგა მოზრდილი საგუბერნიო ქალაქის მცხოვრებთა რაცხვის ოდენა სლსი. კომისიის აზრით მეტათ დიდა ავამყოფთა შროცნეტიც, რც გვიმტვიცებს ქალაქის სასიტარული მსრით მოუწყობდობას.

— მომავალი წლისათვის საკო განთლების სამინის-



ტროს თხოვლობს განსაკუთრებულ კრედიტს პირველდაწყებითი სკოლების მასწავლებელთათვის დამატებითი კურსების მოსაწყობათ.

— თვისანსთა სამინისტროს მიერ შეკრებილი ცნობებიდან ჩანს, რომ ღვინის მონოპოლიისათვის აკეულ შენობათა ღირებულება 100 მილიონ მან. უდრის. სამინისტროს აქვს სულ 400 სპირტის სავაჭარი ქაჩხანა, სანჯო, მადანები და სხვ., რომელთა შენახვა უნის წელიწადში 3 მილიონი მ. ღვინის ოპორტიდან მომავალი წლისთვის მთელი შემოსავალი გამოანგარიშებულია 390 მილ. მან.

— კურსკ-სარკოვ-სევასტოპოლის რეინის გზის დიდ სადგურებზე სსნიან ბიბლიოთეკებს მუშებისთვის. გადასასადი იქნება თვეში თითო წიგნზე თითო შაურჩი.

— გზათა სამინისტროს საჭიროთ დაუნახავს მიიღოს ზომები რეინის გზების შეკრებას და მათ მუშათა დამოკიდებულების მოსაწყობებლათ. ეს ჩვენი რეინის გზების ერთი უსუსტესი მხარეთაგანია და რაც მალე მოეწყობა საქმე მით უმჯობესია. ჯერ-ჯერობით ამ შეკრებასთვის საკვლავად გაუსდით თაბრეკა-ქარსნებისათვის მიღებული საქმიან სასანიტარო წესები.

მოსკოვის ობერ-პოლიციეისტრს განკარგულება მოუხდენია, დაავალონ ყველა ანტრეპრენიორებს და გააფრთხილონ, რომ მათ ტრეზნაში არ მიიღონ ისეთი ებრაელი-არტიტები, რომელთაც მოსკოვში ცხოვრების ნება არა აქვთ, რადგან მიუსხდებით ყოველგვარი სულ შეკრულობისა და ანტრეპრენიორთათვის მოსალოდნელი ზარალისა ეს არტიტები მოსკოვიდან განდევნილ იქნებიან.

„Польск. Газет.“-ის სიტყვით, უკანასკნელ ხანებში ვარშავაში ბევრი გერმანულ კოლონიისტთა ოჯახი მოდის, რომელნიც ამერიკაში ესასლებიან.

ბეტერბურგის კავრები ძალიან ნაკლებათ ემორჩილებიან უქმე დღეებში ვარშავის შეწყვეტის დადგენილებას. სულ მცირე ხანში ასევე ბეტი ოქმი შეუდგენიან ამ წესის დარღვევისათვის.

ს ა ს ღ ვ ა რ ვ ა რ ე თ .

**საზრანგეთი.** უცხოეთის პოლიტიკაშიაღც გაერთუდდა საქმე საფრან-გეთს. ოსმალეთთან მომსდარი უთანხმოება ჯერაც გამოუჩვეულია და საქმე იქამდინ მივიდა, რომ სამხედრო ფლოტით დემონსტრაციის მოხდენა შეიქნა საჭირო. 25 ოქტომბრის დეპუტა გვარტეობინებს, ადმიწალმა კალიარმა გუნძული მატლიენი დაიჭირა. ოსმალეთის მთავრობაც ასლა დათმობის სურვილს იხენს.

**ივლინი.** გენერალ ბოლდუერის სამსახურიდან დათხოვნა, რომელიც გამოიწვია მისმა სამხედრო სამინისტროს მოქმედების კრიტიკამ, საავიტაციო საქმეთ გადაიტვა. ჯარიცა და საზოგადოებაც დიდ თანაგრძნობას უტყდადებს დათხოვნილ გენერალს და პალატის მომავალ სესიასში მთავრობას შეკითხვასაც უპირებენ ამ საქმის შესახებ. ბულდუერის ადგილას დაინიშნა გენერალი ფრენჩი. ფრენჩი ერთათ ერთი ჯარის უფროსია, რომელმაც კარგი სარდლის სახელი მოიხვეჭა სამხრეთ-აფრიკაში. სამხრეთ-აფრიკიდან ფრენჩის მეტროპოლიაში გამოიწვევა უკველია ანგებს ინგლისის ინტერესებს. ფრენჩი ბურებს არც ერთსეულ არ დაუძარცვებიათ.

«Tamps»-ის სიტყვით, ინგლისის მთავრობამ სამხრეთ აფრიკაში მოქმედ ჯარისთვის 60,000 გირკანქა შეკოლადი

შეუკეთა მექანსეს კედბერის, რომელმაც უარი განაცხადდა, მოკლადს არ დაკამზადებ, რადგან არ მისურს სელი შეეწყო სამხრეთ-აფრიკის ომის გაჭიანურებასო. გარდა ამისა, ერთ გერმანულ მეფაბრიკეს, რომლისთვისაც ინგლისის მთავრობას დიდძალი ქუდების დამზადება შეუკეთია, ასეთი პასუხი გამოუგზავნია მთავრობისათვის: მე ვერ მოვამზადებთ ქუდებს, რადგანაც არა მისურს, სელი შეეწყო ტრანსკაალის განდგურებასო».

— გაავის სამედიტორო სასამართლო, რომელსაც ბურების დელეგატებმა თხოვეს კეისრისა შეამდგომლობა ზავის ხამოგდების შესახებ ინგლის-ტრანსკაალ შუა, შეკითხებია ყველა დიდ სასულმწიფოთა მთავრობებს ამის შესახებ, და ასლა მირა პასუხი ბურებს: ამ საქმეს ჩვენ ვერ ვივარებთ, რადგან ჩვენ ვომპეტენციაში არ შედის ასეთი კითხვებიო.

**შეერთებული-შტატები.** გომისამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა კოლიფიკაცია სისხლის სამართლის განონებისა, შეამუშავა განონი, რომლის ძალითაც დასჯილ იქნებიან ის პირნი, რომელნიც მოინდომებენ პრეზიდენტის მოკვლას ან თავ დასხმას; ამ განონით ვინც პრეზიდენტს დაემუქრება სიკვდილით, მას გადასდება 5 ათასი დოლარი და ვინც მას თავს დაუტყდა მოსაკვლელათ, იგი დაისჯება სიკვდილით.

— ამერიკის ზოგიერთ ქალაქებში ამ უძათ ხშირათ ხდება შეტაკება თეთრ-კანიანთა და შავ კანიანთა შორის. ერთი ამისთანა შეტაკება მოხდა ქ. ახალ-ორლეანში.

**პოლანდია.** დიდი ხანია რაც ჰოლანდიელებს უნდოდათ დაესჯათ ინგლისი მათ მიერ ბურების ასე სასტიკათ და უსამართლოთ მოპურობის გამო. ჯერ მათ განიზრახეს აღარ ეყიდნათ ინგლისის საქონელი და რადგანაც ჰოლანდია ინგლისის ერთი საუკეთესო მეშტართაგანია მით მიეყენებიათ მისთვის ზარალი, რომ იმულებული გაესდათ სოლისბური და ჩემპერლენი, ბურების ულტრაზე სული აელოთ. მაგრამ რადგანაც ეს საშუალება სუსტ საშუალებათ იქმნა ცნობილი, ამისთვის იქაურმა ნავთსადგურის მუშებმა გადაწყვიტეს აღარ იმუშაონ ინგლისის ტემბზე, რომელნიც-გი მათს სამშობლოში მოდიან. ამ საგნის შესახებ ამოიჩნეს გომისა, რომელიც უნდა მოელაპარკოს ვერძის ყველა უმთავრეს ნავთსადგურების მუშებს, რომ ისინიც შეუერთდონ მათ აზრს. ამიტომდამის და როტერდამის მუშებმა უკვე გამოუცხადეს გომისას თავისი თანხმობა. დელეგაცია გაიგზავნა აგრეთვე ბრიუსელში ბელგიის მუშებთან მოსალაპარაკებლათ. შეკითხენ აგრეთვე შემდეგ ქალაქების ნავთსადგურების მუშებს: ანტვერპენისას, დიუნკერპენისას, გავრისას, მორდისი, მარსელისა, გენუისა, ბრემენისა და გამბურგისას. მათს პასუხზეა, რასაკვირველია, დამოკიდებული საქმის სისრულეში მოყვანა. განზრახვა აქვთ გაფიცვა დაიწყოთ მომავალი წლის 1 იანვრიდან.

**სამხრეთ-აფრიკა.** უკანასკნელი დეპუტები, რომელსაც კიტინენი უგზავნის ინგლისის მთავრობას, იუწყებიან პრეტორიიდან: «პოლკოვნიკ ბენსონის რაზმის უკანა ჯარს, ბეტელის ჩრდილოეთ-დასავლეთით, 20 მილის მანძალზე, ბერლუზლატეს ახლო ბურები დასცემიან. დიდი ნისლი იდგა თურქე, ამიტომ ბურები—1000 ცაცამდე ყოფილიყვენ—უკანა ჯარისათვის 2 ზარბაზანი წაერთმიათ, მაგრამ ის კი აღარ გიცია, მოასწრეს ამ ზარბაზნების წაღება, თუ ვერა. ვიფირობ, რომ დიდი ზარალი მოგვივიდოდა. ბენსონი ჭრილობისაგან გარდაიცვალა. მამული ჯარი გაკვზავნე; ეს ჯარი დღეს დილით მივა ბენსონის რაზმთან».

«პოლკოვნიკი ბარტონი დღეს დილით ადრე ბენსონის კა»



დონას შეუერთდა. ბურებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ბენსონს გარდა ბურებს კიდევ 8 ოფიცერი მოუკლავთ და 13 დაუჭრიათ; თითქმის ყველანი მძიმეთ აჩიან დაჭრილნი; 28 ჯარის-კაცი მოუკლავთ და 166 დაუჭრიათ. მგონია, რომ ორადეუ წაბზახანი უკან წაურთმევიან და ბურებს უკან დაუხვენიანათ. ბურები ძლიერ ახლო მოვიდნენ მოწინავე ჯართან, ორადეუ მსარე, ინგლისელებიც და ბურებიც, დიდის თავგანწირვით იბრძოდნენ. ბურები აღმოსავლეთისკენ წავიდნენ».

ბურებმა თან წაიღეს ის ორი წარბაზანი, ზოლოქონიკი ბენსონას უკანა წაბზახი რომ წააბრუნეს.—კონსტუქციადან ქეკის მიღის მანძილზე ბურები განგებდნენ უფროსობით მოულოდნელათ მსუქრავ წაბზახს დაეცენ და 17 კაცი ტყვეთ წაიყვანეს.—განგებდნენ მკარათ უზიარებ კაპულ ბურებს: «რეგულაც რიგია, ისე ვერა გვშეკლავან, ბურებმა იცინან, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის იმედი აღარაა, მაგრამ ბრძოლას იმ აზრით განაგრძობენ, რომ ჩვენ წინანდელ მეგობრებს, კაპულ ბურებსაც აგრძნობინონ თავიანთი მწუხარება».

**ჩინეთი.** 26 ოქტომბერს დებეში გვაუწყა ჩინეთის გამომჩენილი დიპლომატის და სახელმწიფო მოღვაწის ლი-ხუნ-ჩანგის გარდაცვალების ამბავი. ის დიდი ხანია ავთ-მყოფობდა, მაგრამ სახელმწიფო საქმეებში მანც იღებდა მონაწილეობას. ლი-ხუნ-ჩანგი დიდი მომხრე იყო ჩინეთში ევროპული კულტურის გავრცელებისა. იგი შეგნებული პატრიოტი იყო. მისი დაკარგვა დიდი დასაკლისია ჩინეთის რეფორმების პარტიისათვის და ავრთვე ევროპელებისათვისაც.

**საუურადლებო პროექტი.**

თანამედროვე სახელმწიფოთა შინაურ ცხოვრებაში ყველაზე მწვავე და რთულ კითხვას წარმოადგენს სოციალური კანონმდებლობა... სწორეთ ამიტომ არის იგი რთული; და მისი განვითარება კი მეტათ წელი. როგორც საზოგადოთ ისტორიის მსვლელობაში, სამართლიანობისა და სიბრალულის განყენებული პრინციპები და გრძნობები აქ არაფერ შუაშია. აქ ადგილი აქვს მხოლოთ სოციალურ პოლიტიკას და თვით «პრაქტიკული გონიერება» აქცევს მასზე საზოგადოების ყურადღებას. კანონმდებლობა მხოლოთ საზოგადოებაში არსებული განწყობილების გამომხატველია, არსებულ ძალთა დამოკიდებულების მაჩვენებელი; და ეს ყველაზე უფრო აშკარა და თვალსაჩინო სოციალურ კანონმდებლობის განვითარებაში ხდება. აქ ყოველი ბიჯი ხანგრძლივი, მტკიცე ბრძოლის შედეგია; იმდენათ ვითარდება კანონი, რამდენათ განვითარებულია საზოგადოება, რამდენათ განვითარებულია თვით ცხოვრება. კანონმდებლის სასწორი, თუ შეგვიძლია ვერე ვთქვათ, იმდენათ იხრება ერთი მხრიდან მეორესკენ, რამდენათ ეს მხარეები მოღონიერებული არიან და შეგნებული აქვთ თავისი ინტერესები. ამის მაგალითს წარმოგვიდგენს მთელი თანამედროვე ევროპის კანონმდებლობა.

ამ გზაზე მსვლელობაში დიდი მნიშვნელობა აქვს თვით კანონმდებლობითი დაწესებულების ორგანიზაციას დი რამდენათ იგი განვითარებულია, რამდენათ ახლოდგას სხვა-და-სხვა ინტერესების წარმომადგენლებთან, რამდენათ მისთვის შესაძლებელია და თან სასურველი არსებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რამდენათ იგი

მზათ არის ახალს მიგებოს და ხელი შეუწყოს მის განვითარებას, იმდენათ შინაური ცხოვრება უზრუნველყოფილია უფრო მოვლენათაგან. ამ მიზეზით, და კიდევ უფრო მით, რომ აქ არსებითი, კუქის კითხვების გარეშე მოტრიალებს მოქმედება, ყველგან დიდი ყურადღებით ეკიდებიან სოციალურ კანონმდებლობას, რომლის დროზე შეცვლა-განვითარება არსებით კითხვას წარმოადგენს და ბევრისთვის კი თვით არსებობის და თავის დაცვის კითხვასაც შეიცავს.

ამ საზოგადო მოსაზრებათა შემდეგ, რომელიც საჭიროთ მიგვანდა წაგვემძღვარებია ჩვენი წერილისათვის, შეგვიძლია სიამოვნებით აღვნიშნოთ ჩვენ სახელმწიფო ცხოვრებაში მუშათა და დამქირავებელთა ურთიერთობის განმსაზღვრელი კანონ-პროექტი, რომელიც შედგენილია ფინანსთა სამინისტროს მიერ და უკვე გადავიდა უმაღლეს კანონმდებლობით დაწესებულებაში, სახელმწიფო საბჭოში. ეს პროექტი ეხება აღნიშნული ურთიერთობის ერთ მხარეს, სახელდობრ მწაჭმოკლებლას და მწაჭკლას ზასუსის გუბას მუშაობაში დაზიანებულ და დასახინებულ მუშათა წინაშე. დღემდის, მიუხედავთ რუსეთის ეკონომიურ ცხოვრების საქმაო განვითარებისა და მიუხედავთ იმისა, რომ ოფიციალური სტატისტიკით (ნამდვილ კი ბევრათ მეტი) 2-3 მილიონამდე მშრომელი ხალხი მარტოოდნ თავის მარჯვენაზეა დამოკიდებული და ეს არის მისი ერთათ ერთი ცხოვრების სახსარი, რუსეთის კანონმდებლობაში არა ჰქონია ადგილი საზოგადოთ მუშათა და კაპიტალისტთა ურთიერთობის ამ მხარის განსაზღვრას, იგი ექვემდებარებოდა სამოქალაქო სამართლის მუხლებს და თვით პასუხისმგებლობის რაობა მინდობილი იყო სასამართლოთა პრაქტიკაზე. ხოლო თვით მოვლენის განსაკუთრებული პირობები განსაკუთრებით კანონს თხოულობდა, რომლის უქონლობა მეტათ საგრძნობელი იყო. მართალია, არის ზოგიერთი კერძო წესები მთა-მადნის (სახაზინო) და რკინის გზის წარმოებათა შესახები, მაგრამ იმათ კანონის მაგიერობა არ შეუძლიათ, თან კანონში მსაჭიროებელთა მცირე ნაწილს ეხებიან და ამიტომ ნაადრევი აღარ შეგვიძლია ვუწოლოთ მომავალ კანონს. მას მეტათ გრძელი ისტორია აქვს, რომელიც იწყება 1859 წლიდან, როცა ფინანსთა სამინისტროსთან დაარსდა განსაკუთრებული კომისია საფაბრიკო და სახელოსნო წესდებათა გადასახედავთ. ამ კომისიის პროგრამაში შედიოდა დამქირავებელთა პასუხისმგებლობაც. მას შემდეგ არა ერთი კომისიის სათათბირო საგნათ გამხდარა ეს კითხვა (1870, 1874, 1893 წ. და სხ.), მაგრამ მხოლოთ დღეს ჩადგა საიმედო ფაზაში: მის გადაჭრაზეა მიმართულა, როგორც ზევით აღნიშნული, ფინანსთა სამინისტროს პროექტი, ისე ახალი სამოქალაქო დებულების პროექტის V წიგნის IV თავი. ამ წერილში ჩვენ მხოლოთ სამინისტროს პროექტზე შევჩერდებით, რადგან იგი უფრო მალე მოელის დამტკიცებას და შესაძლებელია კარგა ხანს გვექნეს მასთან საქმე, სანამ ახალი დებულება დაიწყებს მოქმედებას.

პირველი კითხვა, რომელსაც უნდა მიექცეს ყურადღება ამ შემთხვევაში, მდგომარეობს იმაში, თუ როდის და რა პირობებში არის ვალდებული დამქირავებელი უზლოს უბედურ შემთხვევისაგან წარმომდგარი ზარალი,

და რა გვარია თვით პასუხის მგებლობა? არსებული კანონი იცნობს ორგვარ პასუხის გებას: სისხლის სამართლის წინაშე, როცა უბედურება შედეგია მწარმოებელის უყურადღებობის ანუ პირდაპირი დანაშაულობის, რომელიც მდგომარეობს სავალდებულო წესების დარღვევაში, და ამ რიგით მწარმოებელი ხდება მიზეზი უბედურებისა. აქ ადგილი აქვს სისხლის სამართლით დასჯას. მეორე მხრით არის პასუხის მგებლობა სამოქალაქო. პირველი იღებს ყურადღებაში საზოგადოების ინტერესებს, მეორე თვით დაზარალებულისას, მაგრამ უკანასკნელს ისე მცირე მნიშვნელობა როდი აქვს, როგორც პირველათ შეიძლება ვთქვათ კაცს: აქ მეტათ დიდ კატეგორიასთან გვაქვს საქმე, ამ შემთხვევაში ჩვენთვის უფრო საინტერესოა მეორე ნაწილი და მხოლოდ ამაზე გვექნება ბაასი, რადგან მომავალი კანონიც მხოლოდ ამ მხარეს ენება. დღემდე სამოქალაქო პასუხის მგებლობა ედებოდა მწარმოებელს, თუ უბედურება მისი დანაშაულის შედეგი იყო (644 მუხ. სამოსამართ. კანონმდებლობის X ტ. I ნაწ.). ყველა, ვისგანაც განზრახ თუ გაუფრთხილებლობით ვისმე ზარალი მიეცემა და რამე დააკლდება, ვალდებულია აღუდგინოს იგი და უზღოს დაზარალებულს. როგორც ხედავთ, აქ გადაწყვეტი მნიშვნელობა ისევ დანაშაულს აქვს... თან ამ დანაშაულობის დამტკიცების სიმძიმე აწვება მომხიენს (დაზარალებულს). პროექტით კი პასუხის მგებლობა ბევრათ გავრცელებულია: მწარმოებელი პასუხისმგებელია ყოველ უბედურ შემთხვევაში, რომელიც გამოწვეულია მუშაობის მიმდინარეობით და თავისუფალია მისგან მხოლოდ მაშინ, როცა დაამტკიცებს, რომ უბედურების მიზეზი იყო: 1) გარეშე უძლეველი ძალის მოქმედება, 2) დანაშაული იმ პართა, რომელთაც დამოკიდებულება არა აქვთ წარმოებასთან და 3) თვით დაზარალებულის ბოროტი განზრახვა. ამ წესს ბევრი უპირატესობა აქვს არსებულ კანონთან: აქ პასუხისმგებლობის საფუძველი თვით პროფესიონალურ რისკშია და არა მწარმოებელის დანაშაულში; აღსანიშნავია ისიც, რომ დაზარალებულის მხრით მხოლოდ ბოროტი განზრახვა მიღებული პასუხისმგებლობის ამცილებელ საფუძველათ, უკუგდებულია მუშის გაუფრთხილებლობა. ამის მნიშვნელობას ენგელის შემდეგი ცხრილი გავაგებებებს, რომელიც გვაჩვენებს რა და რა მიზეზით არის ხოლმე გამოწვეული წარმოებაში მომხდარი უბედურებანი:

შემთხვევით ან სტიქიური ძალით . . . . .	28,77%
თვით დაზარალებულის მიზეზით ანუ გაუფრთხ. . . . .	66,78
მისი დანაშაულით . . . . .	0,18
სხვისი გაუფრთხილებლობით . . . . .	2,47
— დანაშაულით . . . . .	1,13
გამოურკვეველი მიზეზებით . . . . .	0,07

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ 67% უბედურ შემთხვევათა ძველი კანონით პასუხისმგებელი, უნაზღაურებელი უნდა დარჩენილიყო და ამ მხრით პროექტი ბიჯის წინ წადგამა და მხოლოდ პრაქტიკული სამართლიანობის ცნობაა, რადგან ეს გაუფრთხილებლობა თვით ხელობის, მუშაობის შედეგია და არა მართლა მუშის დანაშაული თუნდ უნებლიე. ამ გაუფრთხილებლობას თხოულობს სწორეთ ის მუშაობის მიმდინარეობა, რომელიც პროექტშია მოხსენებული, საქმეში საჭირო სიჩქარე და სითამამე ვეერთელა მაშინვეზე მოქმედების დროს. განზრახ დასახი-

რების შემთხვევები კი იმდენათ მცირეა, რამდენათ უბედურებაც არ ღირს, მით უმეტეს, რომ პროექტი ამ უბედურების დამტკიცებას ისევ მწარმოებელს ავალდებს...

მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი კითხვა არის, თვით ზარალის რაოდენობის ზღვევა და მისი ნიღების უზრუნველყოფა. არსებულ კანონში რაოდენობა არ იყო აღნიშნული და სავსებით სასამართლოს პრაქტიკაზე იყო მინდობილი. პროექტით ამ უზრუნველყოფის რაოდენობა განსაზღვრულია, თუ სრულ ინვალიდათ გამხდარა დაზარალებული წლიური საშოგარის ორი მესამედის (2/3) თანაბარი პენსიით... კარგია, რომ დაზარება პენსიის სახით ენიშნება; ამნაირათ მცირე შემოსავალი მაინც მუდმივი ექნება, მაგრამ გარდაუტებულათ უნდა ჩაითვალოს ის წესი, რომ პენსიის ნაცვლათ ერთდროული შემწეობის აღება გაძელებულია პროექტით, ამისთვის საჭიროა ორივე მხრის თანხმობა... მართალია, პროექტით დაზარალებულთა დასაკმაყოფილებელი ვალი პრივილეგიური ვალია, მას სხვა კერძო ვალებთან უპირატესობა აქვს მინიჭებული, მაგრამ ადვილათ შეიძლება ისე გაკოტრდეს წარმოება, რომ პრივილეგიური ვალების გასასწორებელიც არ ექნეს. ამიტომ იქნება უმჯობესი ყოფილიყო ერთდროული დაზარების აღების ნება დაზარალებულისათვის მიეკუთვნებია კანონს... როცა ამ საგანზე შეთანხმება მოხდება, მაშინ პროექტით დაზარალებულს ეძლევა ერთდროულათ ათი წლის პენსია, როგორც სასამართლოს პრაქტიკაც იტყვოდა აქამდე. პროექტში არ არის მიღებული დაზარალებულის წლოვნება, არის იგი 17 თუ 50 წლის მისთვის სულ ერთია... ყოველთვის საჭიროა ასეთ შემთხვევაში მიღებულ იქნეს მხედველობაში სიცოცხლის შესაძლებელი და მოსალოდნელი ხანგრძლივობა და თავის თავათ აშკარაა, რომ 17 წლის ახალგაზდას და 50-60 წლის ერთ პირობეში ჩაყენება უსამართლობაა. თვით რუსეთშიაც, ბალტიის გუბერნიებში, მოქმედებს წესები, რომელნიც მხედველობაში იღებენ სიცოცხლის ხანგრძლივობას. თუ დაზარალებული 20-25 წლისაა მიღებულია 28 წელი, 50 წლისათვის კი — 9 წ. ესევე პრინციპი არის მიღებული ბაქოს ნავთის მწარმოებელთა კასის პროექტში (რომელიც ამ მოკლე ხანში უნდა განიხილოს სახელმწიფო საბჭომ) და მიხედვით ამ პრინციპისა ხდება კაპიტალიზაცია იმ თანხისა, რომელიც ერთდროულათ ეძლევა დასახიჩრებულს...

ნ. ელიავა.

(შემდეგი იქნება)

**ნ ა კ მ რ წ კ ა ლ ს .**

კვესე და კვესე, ბზინვარე ისრებს, ნუ, ნუ მოპაკლებ ბნელსა ღამეში, თვალ ახვეულნი, უსინათლონი კვლავ შეიბრაღე სიწყვედიადეში.

კვესე და კვესე, იქნებ განათდეს ჩემი საბრალო ქოხისა კერა, აუშვი ალი, ბარემ მაღირსე მისი წითელი თავისა ცქერა!

გაათბე გული გაციებული, რომ ამოძრავდეს სისხლი და ძალა,



თორემ ზამთარმა შეაკრმა და მძაფრმა სიცივით სული ამომაცალა!

კმარა სიბნელე, გაჩაღდი ბარემ, გვაშუქე სიბო, გვფინე ნათელი და განადიდე შეუძნეველი ნორჩი, პაწია შენი სახელი! კატო მიქელაჟე.

### უ ა რ ა ლ ი.

(გაგრძელება. — იხ. № 43).

ვდრე ჩვენი მოთხოვნის გამომავალს დაუბრუნდებოდეთ, მე მსურს მოვახსენო მკითხველებს ცოტა რამ მათი წარსულიდან.

სოფელი ხევი, რომელსაც იმბნელს ღამეში დაჰყურებდნენ გიო და ყაჩაღი ილო, ეკუთვნის საქართველოს ერთ იმ კუთხეთაგანს, რომელსაც სხვებზე უფრო გვიან დაჰკრა ნესტარი ცხოვრების ახალმა ქარტახილმა. მაგრამ რამდენათაც შეგვიანებული იყო ეს ნესტარი, იმდენათ ბასრი და დაუნდობელი. მან საშინელის ჭეჭა-ჭუხილით, როგორც მიგზავნილმა მტერმა, გადმოუარა თავზე ცივ გომბორის მთებს და ქარტახილივით დაეშვა მის კიდევზე გაშენებულ სოფლებსაკენ. ეს სოფლები ეკუთვნოდა ქიზიყს.

რომ უფრო ნათლათ წარმოვიდგინოთ ის ხანა, რომელსაც მე მინდა შევეხო ჩემს მოთხოვნაში, გავიხსენებ მოკლეთ ქიზიყის ისტორიულ წარსულს. დღეს ჩვენში ბევრს უკვირს თუ როგორ შეინარჩუნა ქიზიყმა თავისუფლება საქართველოში, როდესაც ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხე იმავე დროს დანაწილებული იყო მეფეებსა და თავად-აზნაურთა შორის და ატარებდა ან ერთის, ან მეორის მონობის უღელს. მაგრამ ნუ დაგვაიწყდება, რომ ყოველივე უფლება როგორც ესლა, ისე მაშინ, აშენებული იყო მხოლოდ სარგებლობაზე. არც ერთი თავადი, არც ერთი მეფე არ მოისურვებდა, რომ ებატონათ და განეგოთ რომელიმე მხარე თუ ეს მხარე არ აკმაყოფილებდა მათს ბატონურ მოთხოვნილებებს, თუ ეს მხარე, იმის სამაგიეროდ, რომ ისინი «ბრძანებლობდნენ» მათზე, არ უვსებდა ბატონს ბედელს პურიით და არ იყო ყოველ წუთს მისი ფეხთა მტვერი, მის სურვილისამებრ ყოველთვის გასაქცეველი ჭია. შეეძლო თუ არა ყოფილიყო ქიზიყს ასეთ სათლელ ღუმალთ? არა, რადგანაც ქიზიყი მაშინ წარმოადგენდა მხოლოდ ამოღებულ ხმაღს გარეშე მტრს წინააღმდეგ და ამ ხმაღის ქვეშ დაგუბულ სისხლში არ მოისურვებდა არც ერთი ბატონი, ჩაეყოფნენ, რომ თვითონაც არ გაეტაცნა სისხლის მორვეს. ბატონმა კარგათ იცოდა თავისი ყადრი. იცოდა ფასი ნებივრობისა, იცოდა თუ რა იყო ალაზნის ველი — მარად ბრძოლის მოედანი და სისხლის ზღვა და არც იწოდებდა მისკენ ხელს, რომ დაესვა დამლა ბატონქობისა. ალაზნის აღმოსავლეთი მხარე რომელიც დღესაც დაფარულია ატეხილი ტყით, უტყუარი საბუთია იმისი, რომ როდესაც ქიზიყი იფარებოდა მის ურდოებში. დღესაც აქ ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით ნასოფლარებს — ქვიტკირებს და მიწაში ჩაფლულ ქვევრებსაც-კი. ამისთანავე ნიშნებსა ვპოულობთ ალაზნის მეორე მხარეს დასავლეთის-

კენ და ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ იმ დროს როდესაც საქართველოს სხვა კუთხეებში ბატონქობის გადაეშალა თავისი მძლავრი მკლავები, ქიზიყი ჯერ ისევე იმ დიარებოდა, როგორც უმიწაწყო უსაკუთრებო ხალხი, და გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე. რაზე ეუფლა ბატონს როდესაც თვით ხალხსაც არა ჰქონდა ვიზე ეუფლა ბატონს, როდესაც არსად იყო ხალხი? არა, ის იყო ბრბო დევნილი მტრისაგან.

ხოლო როდესაც ქიზიყს ჩვენა ვხედავთ შეფარებულს ცივ გომბორის მთის კალთებში, როდესაც ჟამთა ვითარების გამო იმანაც ცოტა ამოისუნთქა, დაისვენა ერთ ადგილას და მიჰყო ხელი მკვიდრ ბინადრობას, მაშინ უკვე წამოეტოტინა მას ხელი ბრძანებლობისა. და მაშინაც კი ეს ბრძანებლობა იყო იმ გვარი, რა გვართაც თვით ბრძანებელს გამოადგებოდა. ე. ი. ქიზიყი იყო თავისუფალი ფარი კახეთის მეფისა, ფარი, რომელსაც არ უნდა გაეშვა მტრის ისარი სამშობლოსაკენ და, რაც შეეხებოდა მის შინაურ საქმეებს, განეგო ისე, როგორც მოისურვებდა თვითონ. ამას მოითხოვდა სარგებლობა მეფისა და სარგებლობა თვით ქიზიყისა. ასე და ამ გვართა ქიზიყი თავისმა სტრატეგიულმა მდებარეობამ ააშორა ბატონქობის უღელს და მისცა მას განსაკუთრებული ადგილი საქართველოს სხვა მხარეთა შორის.

რაც დრო გადიოდა, ქიზიყი უფრო მაგრდებოდა ცივგომბორის მთის კალთებში, აქა-იქ ხევებში მიმალულმა სოფლებმა გაშალეს მხრები ალაზნის ველისაკენაც, დაუახლოვდნენ ერთმანერთს, შეერთებულის ძალით გასწორდნენ წელში და მალე თვითონვე შეუტყეს ლეკებს, რომელთაც თანდითანობით დაადებინეს ალაზნის ველი და შირაქის მინდვრები. ახლა უფრო იშვიათათ ავლებდა გლეხი საომარ იარაღს ხელს. მას უფრო მეტი დრო ჰქონდა, ეფიქრა შინაურ საქმეებზე და რამდენათაც ის წინეთ მდგარი იყო მტრის წინ თავის დასაცველათ, იმდენათვე ესლა მან მიჰყო ხელი ცხოვრებისთვის ბრძოლას. იმ დროს, როდესაც მისი მეზობელი კახელი გლეხი მუშაობდა მხოლოდ ბატონის ბრძანებით — ბატონისათვის, ქიზიყელი გლეხი თავისუფლათ იქნედა მკლავს მხოლოდ თავისთვის. იმ დროს, როდესაც კახელ გლეხს წარმოადგენდა კი არა ჰქონდა რამე საკუთრებაზე — ქიზიყელი გლეხი იმავე სიმბნევით, როგორც წინეთ მტერს, ებრძოდა ცხოვრებას, რომ უფრო გაეტენა თავისი ბედელი. ის ხნადა რამდენიც უნდოდა — არავის აძლევდა ღალას. ის აშენებდა საქონელს რამდენიც შეეძლო — არავის აძლევდა საბალახეს. და კიდევ მიახწია იმას, რომ თითქმის ყოველი ოჯახი დამოუკიდებლათ ცხოვრებდა, მან არ იცოდა, რა იყო სხვათა კარზე მუშაობა და სხვითა ხელში შეყურება.

მაგრამ, როგორც წინეთ მოვახსენეთ, ქიზიყსაც დაჰქროლა ცხოვრების აუტდენელმა მწვავე ნიაემამ, მასაც აეშალა ისტორიისაგან ჩაგდებული საძირკველი და მასთან ერთათ დაიწყეს ნგრევა კედლებმაც, რომელთა შორისაც დღეს ჩვენ თვალწინ იმარხება ჩვენი გლეხის დამბუნებული ოჯახიც. ის, რაც ააშენა წარსულმა, ანგრევს მომავალი...

### II.

ქ. ს. — თან, ასე სამი ვერსის მანძილზე ცივგომბორის მთიდან შუა მომწყვდევულ ხევს ჩამოედევს ორი ქე-

ლი, ერთი ჩრდილოეთის მხრივ და მეორე სამხრეთისაკენ. ორივე ქედი გრძელდება და ნულ-ნულა შეუშინველათ იშლება ალაზნის ველისაკენ. აი ამ ქედებ შუა, ზოგან მის პატარა ვაკეებზე და უფრო კი აქა-იქ დედეებში გაშენებულია ზემოხსენებული სოფელი ხევი, რომელმაც სახელი ალბათ თვისი ადგილ-მდებარეობით მიიღო. მართლაც და ამ ორ მთაგრეხილ შუა მოჩანს უფრო ეს ვიწრო ქვა-ყორით სავსე ზოლი, ვიდრე მის ნაპირებზე მიმალული სახლები. სწორეთ იმ ადგილას, სადაც ერთგან სამხრეთის მხარეზე მთაგრეხილს, თითქო უნაგირი დაუდგამო, ზურგი აუწევია, ს. ხევს თავს დაყურებს ჩამოსიპული ციცაბო კლდე, რომელსაც აქა-იქ ტინში წყლის ცვარები ჩამოჟვენავს. ამ სალი კლდის პირდაპირ პატარა ბორცვზე გაშენებული იყო არწივანთ უბანი. არწივანთ უბანი ს. ხევში ერთ შეძლებულ უბანთაგანს ეკუთვნოდა და ამიტომ აქ უფრო ბევრსა ნახავდით ქვიტყირის სახლებს, ბოსლებს, მარნებს და ყოველ იმას, რაც კი გლეხის შეძლებულებს ამტკიცებს. ერთი ასეთი სახლთაგანი იყო მალხაზო არწივანთის სახლიც. მას გარს ერტყა ფართო ეზო, სადაც გლეხს გაუჭირებლათ მოეთავსებინა ბეღელი, ბოსელი, სათონე, შეშის საწყობი და სხვ. ხოლო ყველა ამაში მედიდურათ გამოიყურებოდა თვით დარბაზი. დარბაზი ქვითკირისა იყო და ზევიდან ჩალა ეხურა. ამგვარ სახლებს თქვენ მხოლოდ ქიზიყში შეხედებთ. ის იქნებოდა სიგძით ასე ხუთმეტრი სიგძენი და სიგანიტ ხუთი. გარედან ქვითკირი არაფრით არ იყო შეღესილი. რაც შეეხება შიგნით, უცხო კაცი, ვიდრე კარგათ გასინჯავდა, მოტყუვდებოდა მის ნამდვილ ფერში, რადგანაც ერთი შეხედვით შემქვარტლული კედლები მას საგანგებოთ შავათ ეგონებოდა შეღებილი. არც ის იყო დიდათ რთული. იატაკის მაგიერ შემქვარტლულ კედლებზე ლარები ეყარა. თვით იატაკიდან ძირს ჩამოკიდებული იყო მკლავის სისხო ჯაჭვი, ე. ი. საკიდელი, რომლის დასწვრივ არშინ ნახევრის სიფართოვე ადგილი შემოკირწყლული იყო პატარ-პატარა ქვებით, შუა ცეცხლისთვის. დარბაზის უკანა კედლისაკენ, შუა ცეცხლთან მიწაში ჩაჯვრული იყო დიდი ქვა, რომელსაც კერას ეძახოდნენ. კერაზე იდგა მუჭის ოდენა გამომწვარი თიხა, პატრუქ გადმოკიდებული, ეს იყო საოჯახო ლამპარი ე. ი. კრაქი. კერის უკან ეყარა ერთმანეთზე მარილის ქვები, ასე ორი არშინის სიმაღლეზე, ამ ხელოვნურათ ვაკეთებულ მარილის-ყორეს უკანიდან იმაგრებდა ქერში მიბჯენილი გათლილი ხე, რომელსაც დედა ბოძს ეძახიან. დედაბოძის მარჯვნივ მხარეს შესავლიდან კედელზე ოჩოლფეხებით იდგა ვარცლი, კედლებთანვე იდგა რამდენიმე განიერი ტახტი, რომლებზედაც ეწყო სკივრები და ქვეშაგები. აქა იქ კაჩოებზე ეკიდა საბლები, ქაპნები და თოკები. აი სრული მორთულობა იმ სახლისა, რომელიც ეკუთვნოდა ზაქარია მალხაზაშვილს, ერთ შეძლებულ გლეხთაგანს სოფელ ხევში.

შემოდგომა მიღეული იყო. წვიმა ისესკრიდა, რომალე თოვლიც ზედ უნდა მოყოლოდა. საშინელი სიცივე იდგა და რაკი საღამოს ნიაშმაც წამოუბერა, მალხაზოს ოჯახიც მალე შექუჩდა ცეცხლა პირას. ამ არშინ ნახევარ ადგილას, რომლის შუაც ადიოდა კომლი, თითქმის მთელი ბანაკი მოთავსდა, აქ იყო დიდი და პატარა, ქალი და ვაჟი, და ისეთი ჟრიაშული იდგა, თითქოს ეს ხა-

ლხი შემთხვევით შეყრილა რამე საქმის გადასაწყვეტად. ისინი ისხდნენ ზოგი ნაბდებზე და ზოგიც ცარიელ დედას მიწაზე, ზოგიერთი მათგანი მალმალე გაუჩინხილებდა ხოლმე ცეცხლს შეშას, რომ უფრო მეტისითბო მისდენოდა. ზოგი კომლისაგან დატრემლიანებულ თვალებს იწმენდავდა. ბალღები დედის მუხლებთან მიმსხდარნი ერთმანეთს ექიშებოდნენ და ხანდახან ისეთ ლანძღვას ამოუშვებდნენ ხოლმე ტირილთან ერთათ, როგორსაც მარტო მხოლოდ ქიზიყში გაიგონებთ. გარედან ცულის რაკუნის მოისმოდა. ეს ნიშანი იყო თითქმის მთელი უბნისა. ამ დროს, თითქმის ყველა ეზოს წინ, ქიზიყში შეშასა სკრიან, ისინი არადროს არ ამზადებდნენ ცეცხლისათვის შეშას წინათვე.

— ჰხეე მოისმა ხველების ხმა მალხაზოს დარბაზის კარებში, პატარახანს უკან, როდესაც მისი სახლის წინ შეწყდა შეშის ჭრის ხმაურობა. კარებში გამოჩნდა მთლათ გაჭალარებული, წელში ოდნავ ოხრილი წამოსადეგი კაცი, რომელსაც თუმცა შუბლის ნაოჭი წელთა სიმრავლეს უმტკიცებდა, მაგრამ მოძრაობა კი მოწმობდა, რომ ამ ბერიკაცს კიდევ შეეძლო მკლავის ქნევა და მუშაობა.

— ხე, ხე, ხე, გამეორდა კიდევ და ამ ხმაზე, ცეცხლა პირას, ერთ წუთს სიხუმე ჩამოვარდა.

— მამამთილი! წაილაპარაკა კერასთან მიმჯდარმა ქალმა და წამოდგა ფეხზე. ეს სიტყვა ნიშანი იყო იმისა, რომ ცეცხლა პირას ადგილი უნდა დაეცალათ ბერიკაცისათვის. და მართლაც ბანაკი შეინძრა მიიწ-მოიწია და კერის გვერდზე ვიწრო ნაბაღზე, რომელსაც ქიზიყში საგორავს ეძახიან, განთავისუფლდა ადგილი.

მალხაზომ, რომელმაც მხარზე გადებული ცული კარების ახლო მიაგლო, მიწაზე მოიკეცა ამ განთავისუფლებულ ადგილას ცეცხლთან და რამდენჯერმე მოატრიალა ტლანქი, დაკოჭრებული ხელები ცეცხლის ალზე. ის იჯდა ჩუმათ, და არცარავინ სხვადა არღვევდა სიხუმეს, გარდა ბალღებისა, რომელნიც ან დედას ჩასჩურჩულებდნენ რასმე, ან ერთმანეთს ცემდნენ ხელს და თან კი თვალი ახლათ შემოსულ ბერიკაცისაკენ ექირათ.

ი ევლოშვილი.

(შემდეგი იქნება)

**წერილები თიანეთიდან.**

**I.**

თუ სადმე ჩვენში ძველის-ძველი საქართველოს ნიშან-წყალი ჯერ კიდევ დაცულია, ეს ნიშან-წყალი ყველაზე უფრო ჩვენი მთების მკვიდრთა ცხოვრებას შერჩენია. რასაკვირველია, ჩვენ მთიულებში ძველი ცხოვრების დაცვა არ აიხსნება მარტო მათი სამშობლო კუთხის მთიანი მდებარეობით, ეს რომ ასე იყოს, მაშინ ხომ ვეებერთელა მთებით სავსე შვეიცარია ჩვენს მთებზე არა ნაკლებ მკვიდრათ დაიცავდა ძველებურ ცხოვრებას, ნამდვილათ კი სრულიად წინააღმდეგს ვხედავთ: შვეიცარიაში თანამედროვე კაპიტალისტური ცხოვრება დღეს თითქმის ევროპის სხვა სახელმწიფოებზე ნაკლებ არც კია განვითარებული.

თავი და თავი მიზეზი ჩვენი მთების უკან ჩამორჩენისა ის გარემოებაა, რომ ეს ნაწილი ჩვენი ქვეყნისა უგზოობისა გამო მოწყვეტილია მის დანარჩენ ნაწილებს და ამის გამო კარჩაკეტილათ ცხოვრობს. თუ შვეიცა-



რის თვალწევდნელ მთებზე კაპიტალიზმს მთელი თვისი ბარგი-ბარხანით გადაუვლია, ეს იმის მეოხებით, რომ შვეიცარიელებმა მას ამ მთებში საუცხოვო გზები გაუკაფეს; ზოგან ეს მთები შუაზე გააპეს, ზოგან ძალიან დიდ მანძილზე შიგ გვირაბები გათხარეს და ისე გააყვანეს რკინის გზები; ასე წარმოიდგინეთ, რამდენიმე ვერსის სიმაღლე აღმართებზედაც კი აიყვანეს ასეთი გზები მატარებლების სავლელათ. ჩვენს მთებში კი საურმე გზაც არსად მოიძებნება, თორემ რკინის გზის გაყვანა ხომ სიზმრათაც არვის მოეჩვენება. ამას გარდა, თვითონ მთებში გზების უქონლობას ვილა იჩივლებდა, მთებამდე რომ მაინც რკინიანი გზები მიდიოდეს. მართალია, თფილისიდან თიანეთამდე გამოყვანილია საფოსტო გზა-ტყეცილი, მაგრამ ეს „შოსსე“ ისეთი უმზგავსი რამ არის, რომ ცოტა უფრო კეთილგანწყობილ ქვეყანაში უბრალო საურმე გზაც კი ბატონია მასთან. გარდა იმისა, რომ ეს გზა სრულიად უგვემო რამეა, ბევრგან ტყუილ-უბრალოთ გაგრძელებული და ბევრგან კიდევ საშინელი ოღრო-ჩოდრო, ვინ იცის, რამდენი ხნის მოუკირწყლავია და რა საძაგელი ბოგირებია ზედ. ამ გზის უფარვისობა თვით მის სამმართველოსაც კი ვეღარ დაუმაღლავს და საქვეყნოთ გამოუცხადებია ცირკულიარით, რომელიც გზის ყველა სადგურებში გამოუკიდნია და რომლითაც აუკრძალნია ღამით, გზის უფარვისობის ვაშო, ტროიკით მგზავრობა\*). რა თქმა უნდა, ასეთ გზაზე ღამით მგზავრობა მართლაც სახიფათოა, განსაკუთრებით თუ ღამე უმთვაროა და კიდევ თუ ზაფხულში არ მგზავრობ, რადგანაც სხვა დროს ლაფ-ტალახების გამო არა თუ ღამით, დღისითაც კი ყოველთა აუტანელი ხდება ამ გზაზე მგზავრობა; ამიტომ ძალიან «რისკიანი» კაცი უნდა იყოს ან ძალიან გეჩქარებოდეს ადგილზე მისვლა, რომ ამ გზაზე ღამით მგზავრობა გაბედო. რასაკვირველია, ასეთი რისკიც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგიძლია ჩაიდინო, თუ ეტლი კერძო კაცისაგან გაქვს დაქირავებული და არა გზის სამართველოსაგან, რადგან ზემოხსენებულ ცირკულიარის გამო, სადგურის გამგე, რაც უნდა გეჩქარებოდეს, ღამით ტროიკას არ შეგიბამს, მით უფრო, რომ ეს სასარგებლოცაა კერძოთ მისთვის, რადგან თუ მასთან ღამე გაათიე, ან ჭამა მოგინდება, ან სმა, ან კიდევ სხვა რამ და მისგან რასმე დახარჯავ, ხოლო ის კი დანახარჯს მამასისხლათ გიანგარიშებს და შენი ჯიბიდან ბლომათ გადაილაგებს გროშებს თავისაში...

თქვენ უმორჩილესს მონას, სხვათა შორის, ასეთი ოინი უყვეს ერთ სადგურზე: სამოვარი ღამიდგეს და ისეთი ჭიქები მომიტანეს, რომ მდუღარის ერთი მოხვედრისაგან ტყდებოდა. მეორე დღეს თითო გატეხილი ჭიქა, ღირებული არა უმეტეს შაურისა, აბაზათ მიანგარიშეს. რა უნდა მექნა, მე რომ აბაზები არ მიმეცა ჩემი სტუმართმაცყვარე მასპინძლისათვის, მას შეეძლო სამაგიეროთ ტროიკა არ მოეცა ჩემთვის. ვინ იყო გამკითხავი?! მე ის ექვიც კი შემეპარა, რომ სადგურის გამგეს განგებ ეყიდნა «დაბრაკული» ჭიქები, რომ ჩემისთანა უმწე-უნუგეშო მგზავრებს ადვილათ დამტვრეოდათ და მათგან, რაც თვი-

\*) ეს ცირკულიარი, სხვათა შორის, მით არის ახირებული, რომ საჭიროთ არ დაუნახავთ ადენიშნათ შიგ, თუ როდის გამოუციათ იგი, როდემდინ აქვს მას ძალა და ან როდის ელირსებათ მგზავრებს გზის გასწორება.

თონ დახარჯოდა, ოთხი იმდენი აელო... ეს კიდევ ცოტაა. სასმელ-საქმელების ფასი აქ არავითარ ნიხრს არ ემორჩილება; ნიხრს თქვენი ჭირი წაუღია, სურვილზე რომ შეგეძლოთ საქმლის შოვნა. რასაც მოგიტანენ, ის უნდა ჭამო, რასაც მოგთხოვენ საქმლის ფასათ, ის უნდა გადაიხადო. ყოველივე ამის შემდეგ მწარე სიცილი და თან ბრაზი მოგდის, როდესაც სადგურის კედელზე ხედავ ჩარჩოში კოხტათ ჩასმულს სხვა-და-სხვა ჯურის სასმელ-საქმელების სიას და მათი ფასების ნიხრს. ამ სიას რომ დაუჯეროთ, სადგურზე კაცს ჩიტის რძის გარდა ყველაფრის შოვნა შეუძლია და ისიც ზომიერ ფასებში, კახური ღვინოც რამდენიც გსურს!.. ხოლო სადგურის გამგეს რომ მოთხოვო უბრალო „ზაკუსკა“, პირველათ იმას გეტყვის, ჩვენ მოვალენი არ ვართ „ზაკუსკა“ გიშოვოთო, და კახური ღვინო კი არა, ხეირიანი წყალი მაინც თუ მოგიტანა, იმაზედაც მაღლობელი დარჩი. მაშ ის სასმელ-საქმელების სია რაღა ჯანაბისათვის გამოუკიდნია იმ დალოცვილს?! კურიოზისათვის?! მაგრამ განა კურიოზებისათვის ცხელა ტროიკით დანჯღრეულ-დაქანცულ და მშიერ-მწყურვალ მგზავრს?!.

ყველა ამ და ბევრ სხვა ასეთ უხერხულობას მგზავრობაში ისიც უნდა დავძინოთ, რომ ეს დამტანჯველი მგზავრობა მეტათ ძვირათ ჯდება. ყველაზე უფრო იაფათ ტროიკით მგზავრობა ღირს და მისი ფასიც 9 მანეთამდე აღის, და ეს სულ რაღაც 74 ვერსის მანძილზე; დღი-ქანსი, რომელიც ხშირათ უფრო იაფათ უჯდება კაცს, აქ სრულიადაც არ დადის. ლინეიკას 20—15 მან. ნაკლებ ვერ იშოვი, ხოლო ეტლი ხომ ხანდახან 25 მანეთზე ძვირათ დაგიჯდება. ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, მეტათ საქირო საქმე უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამ მხარეზე გამოემგზავროს.

თუ მგზავრთა მოძრაობა აქეთკენ ასე გაჭირვებულია, ადვილათ მიხვდებით, რომ საქონლის მოძრაობა კიდევ უფრო გაძნელებული იქნება. საქონლის გადასაზიდათ აქ ხმარობენ უმეტეს ნაწილათ ჩვეულებრივს ხარ-კამჩის ურმებს და ზოგჯერ ცხენის ურმებსაც, და, აბა, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, რა საქონლის დატრიალება შეიძლება ასეთი მამა-პაპური საშუალებით და ისიც ზემოაწერილ ყოველად უხვირო გზის შემწეობით. ერთი სიტყვით, რამდენათაც აქ გაძნელებულია ვაჭრობა-მრეწველობის აგენტის (ე. ი. ადამიანის) მიმოსვლა, ორი იმდენათ ვაჭირვებულია ვაჭრობა-მრეწველობის ობიექტის (ე. ი. საქონლის) მოძრაობა. და აი სწორეთ ამის გამო თიანეთის მაზრაში ვერ შეხვდებით ვერაფრის მრეწველობას, თუმცა ეს კუთხე მეტათ მდიდარია სხვა-და-სხვა გვარი მადნეულობით: აქ პოულობენ ზოგან სპილენძის მადანს, ზოგან მარმარილოსას, ზოგან ფარფორისას, ზოგან ლიტოგრაფიის ქვისას და სხ. ამ ბოლო დროს კიდევ ამ მაზრაში, სოფ. ილდაკანში, ნავთის ნიშნებიც აღმოაჩინეს.

რაც შეეხება ვაჭრობა-აღებმიცემას, მისი განუვითარებლობა აქ თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ თიანეთის ვაჭრობის გათვალისწინებით. თიანეთი ადმინისტრაციული ცენტრია ამ მაზრის, ე. ი. სამაზრო დაბაა. აქ არსებობს რამდენიმე დაწესებულება: სამაზრო სამართველო, მომრიგებელ სასამართლო, ფოსტა, სკოლა... ამას გარდა ეს დაბა კარგა მოზრდილია მცხოვრებთა რაოდენ-

ნობით და მას გარს არტყია მრავალი სოფელი. ყოველივე ამის მიუხედავად აქ სულ რაღაც ოცოდე დუქანი ვაჭრობს და მათაც ძალიან სუსტი ვაჭრობა აქვთ; მხოლოდ ორიოდ დუქანი (ფარჩეულობისა, საწვრილმანოსი და სამიკიტნო) ვაჭრობს გვარიანათ. ვაჭრობა აქ იმდენათ სუსტობს, რომ იმის მაგივრათ, რომ დუქნების რიცხვს მომატებოდა, კიდევ დაკლებია: აქ ბევრგან შეგხედებათ ისეთი დუქნები, რომელთაც აშენება-გამართვა კი ღირსებით, მაგრამ ვაჭრობა კი ღიბხანს აღარ დაუკლებიათ და გაუქმებულან, დაკეტილან. დღემდე აქაური ვაჭრობა ზაფხულობით მაინც იღვიძებდა ხოლმე, რადგან აქ ყოველ წლივ ჯარი მოდიოდა საზაფხულოთ, მაგრამ დღეის იქით კი ზაფხულობითაც შესუსტდება აქ ვაჭრობის მაჯის ცემა, რადგან, როგორც ისმის, ამის შემდეგ ჯარი აღარ მოვა ხოლმე თიანეთში, და მოსალოდნელია ჩვენ იმის მოწმეც შევიქნეთ, რომ ზოგიერთს ამ ჟამათ მოვაჭრე დუქანსაც ზემოხსენებულ გაუქმებულ დუქნების ბედი ეწიოს. ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგ ხელობას აქ, როგორც მაგ. დალაქობას და მეჩექმეობას, მხოლოდ თითო წარმომადგენელი ყავს, ე. ი. აქ დალაქიც მხოლოდ ერთია და მეჩექმეც. ასეთ ხელობას სრული მონობლია აქვს თავისი ხელობის და რაკი კონკურენტი არა ყავს, მუშტარი მთლათ თავის ხელში ჩაუჭერია: რამდენიც სურს, იმდენ ტყავს აძრობს. ამას გარდა მისი ბაზარიც სასტიკათ განსაზღვრულია და მან დახლოვებით წინდაწინვე იცის, რამდენი მუშტარი ეყოლება წლის განმავლობაში, რამდენი საქონელი უნდა მოამზადოს და სხ.

აი კიდევ აქაური ვაჭრობის განუვითარებლობის უტყუარი საბუთი. აქ ვაჭრები ხშირათ ფულით კი არ ვაჭრობენ, არამედ საქონლის პირდაპირ საქონელზე გაცვლით. დუქნის საქონელს ცვლიან სხვა-და-სხვა გვარ სოფლოურ ნაწარმოებზე: ქათმებზე, კვერცხებზე, ერბოზე, ყველზე, ტყლაპზე და სხ. და სხ... საქონლის ასეთი მამა-პაპური გაცვლა-გამოცვლა განსაკუთრებით სარფიანი გამხდარა ორიოდ სომეხ ფარჩეულობის ვაჭრისათვის, რომელთაც ყველაზე მეტი მუშტარები ყავთ: ისინი ჩალის ფასათ იღებენ სოფელეთაგან აუარებელ სოფლოურ ნაწარმოებს, მოაქვთ ურძებით ქალაქში და აქ კი მამასიხლათ ყიდიან. რაღა თქმა უნდა, ისინი ასეთი საშუალებით ზორბათ გაისქელებენ ჯიბეს და ბლომათ „მოაგროვებენ კაპიტალს“. და აი ასეთ ვაჭრებთან ბრძოლა-კონკურენცია გაუბედნია 1895 წლის აქ არსებულ საამხანაგო დეპოს, რომელსაც სწორეთ ამ კონკურენციისა და აგრეთვე თავისი წევრების დაუდევრობის გამო საცაა სული ამოხდება.

საქონლის საქონელზე გაცვლის გარდა აქ შრომის ხელფასსაც ხშირათ საქონლის სახით იღებენ. მაგ. დალაქი თავის ხელფასს სოფლის ნაწარმოების სახით იღებს სოფელეთაგან, რომელთაც მოსავლის მოწვევის დროს ართმევს თავის ხვედრ «ხარკს», რომლის ფასი თითო კაცზე 50—60 კაპ. უნდა უდრიდეს. როგორც მკითხველი ხედავს, აქ ფულის ტრიალი ჯერ კიდევ ნაკლებათ არის განვითარებული.

დასასრულ აქაური ვაჭრობა-აღებმიცემობის დასახსიათებლათ ისიც საყურადღებოა, რომ აქ არ იციან არავითარი ბაზრობა-იარმუკობა, როგორც ეს მაგალ. იმერეთ-

ში და ქართლშიაც კი იციან, სადაც კვირაში ერთხელ კვირადღეობით ან პარასკეობით—ამა თუ იმ დაბაში ყველა ახლო-მახლო სოფლებიდან გროვდება ხალხი და თან მოაქვს თავისი ნაწარმოები, რომელსაც ყიდის, და აქედან აღებული ფულით კი ყიდულობს სხვაგვარ ნაწარმოებს. საზოგადოთ, უნდა შევნიშნოთ, რომ იმერეთში არა თუ ადმინისტრაციულ ცენტრში, არამედ უბრალო დაბაშიაც კი სამჯერ და ოთხჯერ მეტი ბაზარი, დუქნები და ვაჭრობაა გამართული, ვინემ სამაზრო დაბა თიანეთში, რომელსაც აქაური დაწესებულებანი, თითქო სასაცილოთ, „გოროდ ტიონეტ“-საც კი უწოდებენ საქმის ქალაღებში.

ყოველივე ზემო თქმულიდან ცხადია, რომ თიანეთის მაზრაში ჯერ კიდევ ნატურალური წარმოებაა გამეფებული; აქ ჯერ კიდევ ძალიან გავრცელებულია შინაური მრეწველობა; ასე, რომ აქაური მკვიდრი მეტ ნაწილს თავისათვის საჭირო საგნებისას თვითვე ამზადებს შინ და მისთვის ჯერ საჭირო არ გამხდარა სხვისაგან მოიპოვოს საცხოვრებელი საგნები. ერთი სიტყვით, აქ ჯერჯერობით საქონლის წარმოება ძალიან სუსტათ არის განვითარებული და ამის გამო ვაჭრობა-აღებმიცემაც ასე სუსტობს. ყოველივე ეს ნამეტნავათ ხევესურებზე ითქმის, რომელთა საქმით ხელოვნური და მეტათ ორიგინალური ტანთხაცმულობა, სხვათა შორის, მთლათ ერთიანათ მათი საკუთარი ნაწარმოებია.

სევ. ჯ—ლი.

**მე-XIX საუკუნის ბუნებისმეტყველების დედააზრი.**

მეცნიერებას ორი მხარე აქვს. ერთი მხრით ის თეორიულათ იმუშავებს, იკვლევს თავის საგანს. ამ კვლევაში უყრის თავს ერთნაირ მოვლენათ, იძიებს მათ მიზეზებს და პოებს მოვლენასა და მის მიზეზს შორის არსებულ დამოკიდებულებას. ამ დამოკიდებულებას, რომელიც არის საერთო ყველა ერთნაირ მოვლენათათვის, ქვია ბუნებრივი კანონი. ადამიანი არ კმაყოფილდება ბუნებრივი კანონის აღმოჩენით. ის ცდილობს, ისარგებლოს იმ კანონით, რომ ბუნების ეს თუ ის ძალა დაიმორჩილოს და იმსახუროს. ამნაირათ მეცნიერებას ეძლევა პრაქტიკული მნიშვნელობა. პრაქტიკული მხრით ბუნებისმეტყველება იმდენ რამეში გამოიყენა ადამიანმა, რომ ჩამოთვლაც ძნელია. „მეცნიერებით აღჭურვილმა ადამიანმა“, ამბობს სპენსერი, „შვილდისრიდან მიადწია ორმოცი ათას ფუთიან ზარბაზნებამდინ, ხის ტანისაგან ამოღრუტულ ნავიდან ოკეანეს ხომალდებამდინ, პერგამენტზე ამოხაზულ ანბნებიდან ისეთ გაზეთებამდინ, რომელნიც საათში ოცი ათასი ცალობით იბეჭდებიანო“. რასაკვირველია, მეცნიერება ერთ რომელიმე საუკუნეში კი არ შექმნილა, ის თანდათან ვითარდებოდა ადამიანის წინსვლაში. მარა გასულ საუკუნეში იმდენი აღმოჩენა და გამოგონება იყო, იმდენი საოცარი რამ მოაწყო ადამიანმა, რომ ეს საუკუნე თამამათ შეგვიძლია დაუპირდაპიროთ კაცობრიობის მთელ გასულ ცხოვრებას. გავიხსენოთ ამ საუკუნის უფრო თვალსაჩინო გამოგონებანი. მეცხრამეტე საუკუნემ გამოიგონა რკინის გზა, ხომალდები, ელექტრონული ტელეგრაფი, ტელეფონი, ფოტოგრაფია, ფონოგრაფი, გაზით განათება, აღმოაჩინა რენტგენის სხივები, რომელთა შემწეობით შეიძლება ფოტოგრაფიულათ გადაღება ისე-



თი საგნის, რომელიც მომწყვდევლია მეორე, ჩვეულებრივი სხივებისათვის გაუმჭირვალე სხეულში. მაგალითათ მათი შემწეობით შეგიძლიათ გადახატოთ ფოტოგრაფიულათ ყუთში მომწყვდევლი საათი, ან სხეულში ჩარჩენილი ტყვია. ერთი სიტყვით აქ ათასი საოცარი რამ არის. მაგრამ ჩვენ აქ არ გვაქვს აზრათ ამაზე შევიჩრდეთ, ჩვენ გვსურს სულ სხვა მხარეს მივაქციოთ ყურადღება, გვსურს ვიპოვოთ ბუნებისმეტყველების დედააზრი, მისი შინაარსი.

საზოგადოთ დღეს იმდენათ გაფართოვდა ადამიანის ცოდნა, რომ ის დაიყო ბევრ შტოთ, რომელთაც თავთავისი საკუთარი სახელი და საკლავი საგანი აქვთ. ყველა ამ მეცნიერულ დარგთ ეტყობათ საგნის მიხედვით თავისი განკერძოება, თავისებურება კვლევის მეთოდში, თუ იმ პრინციპებში, რომელზედაც ისინი შენდებიან. ხოლო ხშირათ ესა თუ ის დარგი მეცნიერებისა დაადგება ისეთ პრინციპს, ამოაჩენს ისეთ კანონს, რომელსაც ეძლევა საერთო მნიშვნელობა. ამით მეცნიერების ერთი დარგი პოულობს საერთო გავლენას გონებრივ განვითარებაზე და კაცობრიობის შეხედულებას ასე თუ ისე ცვლის. არც ერთ დარგს მეცნიერებისას ისე ძირიანათ არ შეუცვლია ამ ბოლო დროს ადამიანის შეხედულება, როგორც ბუნებისმეტყველებას. ამ მეცნიერებამ ისეთი ნათელი გზა გაიკაფა, ისე გარკვევით დაადგა ქვეყნობისა, რომ მობრუნდა და უთხრა კაცობრიობას: გინდა კრუმორწმუნეობა და უშეცრება უკუაგდო?—აი გზა, დამილოცნია შენთვისო.—მერე რა გზა ეგზა? რა პრინციპია ის პრინციპი, რომელიც სავალდებულოა ყოველი ადამიანისათვის?

ჩვენ გარს გვარტყია სხეულები, ნივთები. ის, რისგანაც შეიძლება არიან სხეულები, არის ნივთიერება. სხეულები მრავალგვარი; განირჩევიან სისხოთი, მოყვანილობით, მდგომარეობით. მარა კიდევ ძველ დროში ამბობდენ მეცნიერები: „ნივთიერება ერთიაო“. „ყველაფერა ერთნაირიაო“, აქტიცებდა პარმენიდი. სწორეთ ასეთი რწმენით ხელმძღვანელობდენ ვერკუ წოდებულნი აღქამიკოსები, როცა ცდილობდენ ერთგვარი ნივთიერების მეორე გვარათ გარდაქმნას, როცა, მაგალითათ, უნდოდათ ვერცხლის ოქროთ ქცევა. დღესაც მეცნიერების წარმოდგენაში იმარხება ის დაბეჯითება, რომ ნივთიერება ერთია, მარა ეს დაბეჯითება ჯერ-ჯერობით დაბეჯითებით რჩება, ფაქტიურათ კი ყველა სხეულთა სხვა-და-სხვაობაში ადამიანმა ამოაჩინა სამოცდაათამდე ისეთი ნივთიერება, რაჟელთა დახსნა, დანაწილება უფრო მარტივ ნივთიერებათ ჯერ-ჯერობით ვერ შეუძლია. ამ მატერიათ ვეძახით სადა ნივთიერებათ, ანუ ელემენტებს. ბუნებაში უფრო გავრცელებული ელემენტები არიან: წყალბადი, ნახშირბადი, მჟავბადი, ნარი, გოგირდი, რკინა და სხვა. ამ ელემენტების შეერთებით მივიღებთ სულ ყველა ნივთიერებათ, რომელნიც ბუნებაში არ მოიპოვებიან, ხოლო მზადდებიან ხლოვნურათ. მოვიყვანოთ რამდენიმე ბუნებაში უფრო ცნობილ სხეულთა შედგენილობის მაგალითი. მცენარეთა და ცხოველთა ქსოვილებს შეადგენენ უმთავრესათ: ნახშირბადი, მჟავბადი, წყალბადი, აზოტი, ფოსფორი, კალცი და რკინა. ჰაერს უმთავრესათ შეადგენს აზოტი და მჟავბადი, წყალს შეადგენს ორი ჰაერმაგვარი ნივთიერება—წყალბადი და მჟავბადი.

ამ ნაირათ ადამიანმა დანაწილა ბუნების რთული შეერთებანი და მიიღო ელემენტები, პირიქით აკრთებს ამ ელემენტებს და ღებულობს ახალ შედგენილობათ. ხოლო ყოველ ცვლილებას ნივთიერებათ ურთიერთ დამოკლებულებაში აქვს თავისი მიზეზი, რადგან უმიზეზოთ არ შეიძლება რამე ცვლილება წარმოვიდგინოთ. ყველა ის მიზეზები, რომელნიც სხეულებში იწვევენ სხვა-და-სხვა ცვლილებათ, წარმოადგენენ ძალას. ვარჩევთ ორნაირ ძალას. როცა ესა თუ ის მიზეზი იწვევს სხეულს შინაგანი შედგენილობის შეცვლას, მაშინ ჩვენ ასეთ მიზეზს ვეძახით ქიმიურ ძალას, მაგალ., როცა წყალბადისა და მჟავბადის შეერთებით—მივიღებთ წყალს, აქ მელავნდება ქიმიური ძალის მოქმედება. ან და როცა ხეს ვწვავთ, აქაც ქიმიური პროცესია. მეორე ნაირ ძალას კი, რომელიც არ ცვლის სხეულს არსებითათ, არ გარდაქმნის მას მეორე ნაირ ნივთიერებათ, ვეძახთ ფიზიკურ ძალას, მაგ., სავთის მუშაობა.

ბევრი ისეთი მოვლენაა, რომლის დროს ნივთიერება თითქო იკარგება, ისპობა, ან და კლებულობს. მაგალითათ, ავიღოთ ერთი ფუთი ნახშირი და დავწვათ. მივიღებთ ბოლოს ნაცარს, რომელიც გაცილებით ნაკლებს იწონის. მაშ რა იქნა დანარჩენი ნივთიერება? უბრალო მეთვალყურისათვის ის გაქრა, დაიკარგა. მარა სულ სხვა იქნება, თუ ცდას მეცნიერულათ მოვაწყობთ, ესე იგი მივიღებთ ყველა იმ ზომებს, რომელნიც საქროა დასკვნის სინამდვილისათვის. წვა მარტო ნახშირის ნაცრათ ქცევას კი არ წარმოადგენს; წვის დროს ნაცრის გარდა მივიღებთ რამდენიმე ჰაერგვარ ნივთიერებათ, რომელნიც, თუ წვა და ადგილას ხდება, ქრებან ჰაერში და ჩვენთვის უხილავათ რჩებიან. მარა თუ ცდას ისე მოვაწყობთ, რომ თავს მოუყრათ წვის დროს გაჩენილ ყველა ჰაერგვარ ნივთიერებათ და შემდეგ ავწონით მათ და ნაცარს მაშინ დავინახავთ, რომ ეს ნივთიერებანი სიმძიმით არა თუ არ ჩამორჩებიან ნახშირს, არამედ კიდევ ჰარბობენ. ეს მართლაც ასე უნდა იყოს, რადგან სხეულთა წვის პროცესი არის ამ სხეულის და ჰაერში მყოფ მჟავბადის შეერთება. ამიტომ წვის შედეგების წონა არის ჯამი ნახშირის და მასთან შეერთებული მჟავბადის წონისა. მაშ აქ ნივთიერება არ ისპობა. სწორეთ წვის პროცესის დაკვირვებაში ამოაჩინა საფრანგეთის გენიოსმა ქიმიკოსმა ლავუაზემ მე-XVIII საუკუნის გასულს ძირითადი კანონი—კანონი ნივთიერების მოუსპობლობისა. აი რას გვეუბნება ეს კანონი: იმ სხეულთა წონა, რომელიც მიკილეთ ქიმიური რეაქციის შედეგათ, უფროს რეაქციაში შესულ სხეულთა წონის ჯამს. მაშ აქ წონა არ იკარგება. მივცეთ ახლა ამ კანონს უფრო ზოგადი გამოხატულება. როგორც ყველასთვის ცხადია, წონა ნივთიერების არსებითი თვისებაა. სიმძიმეს მოკლებული ნივთიერება ჩვენ ვერ წარმოვიდგენია. აქედან გამომდევს შემდეგი საერთო კანონი: არც ერთ ქიმიურ პროცესში ნივთიერება არ ქრება და არც ხელახლა ჩნდება. ამ კანონს ქვია ნივთიერების მოუსპობლობის კანონი. მაშ ნივთიერება მოუსპობელია. ეს დიადი კანონი გადასცა მე-XVIII სა-

უკუნემ მე-XIX-ს. ამ კანონით მკვლევარს მიეცა ხელში სასწორი და ის დაადგა წმინდა ექსპერიმენტალურ ვზას.

3. ს—ჟე.

(შემდეგი იქნება).

ცოტარამ მთხმთა და მთათმთხმთა პრატხიკილან.

ჩვენ დროში, როგორც მოგეხსენებათ, ტენიკის და მეცნიერების ერთი დარგის — ქიმიის განვითარებამ ძლიერ შეუწყო ხელი ქიმიურ საქონელთა ქარსების და ფაბრიკების გამრავლებას და თუ ერთი მხრით ამგვარი ქარსები და ფაბრიკები მრავლდება წლობით და თვეობით, —ასედასაღ „აღმოჩენილ“ საშუალებათა რიცხვი ხომ დღითი დღე მატულობს. ამგვარ ასაღ ასაღი „წამლები“ გავრცელებას უწყობენ ხელს ქიმიკოსები და ექიმები \*) სპეციალური ურნალ-გაზეთების შემწეობით და თვით მექარსნე საზოგადო პრესაში განცხადებების და რეკლამის ბეჭდვით. ექიმთა უმცირესმა და უგეტესმა ნაწილმა, იმ ნაწილმა, რომელიც მედიცინას უყურებს, როგორც მეცნიერებს და არა როგორც მარტო ხელობას, და მეცნიერების პრინციპებს მალეა აყენებს პირად ინტერესებზე, უგვე მიაქცია ურნადება ასაღ-ასაღ საშუალებათა უსაზღვრო გამრავლებას, და სასამ თითონ საკუთარი გამოკვლევით არ დარწმუნდება ამ თუ იმ „ასაღთ აღმოჩენილ“ საშუალების ნამდვილ დარსებაში, ადამიანის სტრუქტურას და სხვა-სხვა „ინკები“, — პირიქით, — წინააღმდეგ შემთხვევაში — ბრძოლას უწევს, როგორც „აღმოჩენილს“, ისე გავრცელების ხელის შემწეობით. ასაღ წამლებს ასაღგაზრდა ექიმები უფრო ეტანებიან, რადგანაც, ალბათ, ზოგს თავი მოწონს ასაღი წამლების სასკლის ცოდნით და ზოგინც ცდიან (რატომაც არ უნდა ცადონ?!) ასაღი წამლების მოქმედებას ადამიანზე. შე არ გამოედეგები აქ იმის აღნიშვნას, თუ რამდენი ასაღი წამალი აღმოჩენილა გამოუდგარ და სშირათ ძლიერ მანებელიც. დაგასაღებებს მხოლოდ ერთ გარემოებას: წაღს გაზაფხულზე თფილისის მეფეთაქებმა ზოგიერთ ექიმების შთაგონებით შეიძინეს ერთი ასაღი წამალი, იაპონელების „გამოგონილი“, „იოჰიმბინი“ (Iohimbium muriaticum.) ამ წამალს შესანიშნავი საქმეები უნდა მოეხდინა ისე, როგორც ერთხელ ბროუნ-სეკის აღმოჩენილი სითხე გვიბრდებოდა მოსურთა ძაღლის და იშტის მომატებას, ანუ უკეთ ვთქვით — „გაუმწვილებას“. ერთი გრანი (გრანი წყლის ერთ წვეს უდრის) ამ „გამაუმწვილებელი“ წამლისა ღირდა (დღესაც გრანი ღირს, ვინც კი უიდას მოსურრებს 2 მ.) ორმანეთ ნახევარი! და სუთ ექვს მისასაღ წაღში გასნილი ორი თუ სამი გრანი — 7 მ. 50 კ., მაგრამ ვინ დაიშურებს „გაუმწვილებისათვის“ რამოდენიმე მანათს ან რამოდენიმე თუმანს?! და აი მიაწუდენ კადეც „გაუმწვილების“ მოსურრენი ექიმებს და აფთიაქებს. დღეს კი არა მგონია, რომ რომელიმე ექიმმა „იოჰიმბინი“ გამოუწეროს ვისმე, რადგანაც როგორც ექიმები, აგრეთვე „გაუმწვილების“ მოტრფიანნი დარწმუნდენ მის (იოჰიმბინის) არამც თუ გამოუდგრობაში, არამედ სრულ მანებლობაშიდაც კი. შეიძლება იკითხოთ, თუ რათ იყო ასრე ძვირი ეს წამალია, ამისათვის საჭიროა ჩემს ს აზრით, კერძო წოდებული სააფთიაქო ტაქსა ცოტადანთ გავიცნოთ.

სააფთიაქო ტაქსას, რომლის გაგება მხოლოდ სპეცია-

\*) კაპიტალისტ მექარსნეებისაგან დაქირავებულნი.

დასტო შეუძლია, ადგენს საშინაო საქმეთა სამინისტრო 8—10 წლის განმავლობაში ერთხელ. ამ ხნის განმავლობაში კი, როგორც ზემოთ მოვისხენით, აურაცხელი ასაღი წამლები გამოდის სააფთიაქო ქარსანა-ფაბრიკებიდან. ასაღ აღმოჩენილ წამალზე მეფაბრიკე პრივილეჯიას ღებულობს მთავრობისგან, ამ პრივილეჯიის ძალით მხოლოდ მას (აღმოჩენილს) შეუძლია ის ასაღი წამალი ჰყიდოს; ფასს კი აწერს ზედ „quantum satis“ ე. ი. რამდენიც უნდა. მეფეთაქებს ნება აქვს (თანხმად ტაქსის მე-9) ყოველ იმ წამალზე, რომელიც საკვადებულ ტაქსაში არ არის მოთავსებული, დაუმატოს ერთი გრანის ნაყიდობის ფასს 200% მავალთათ: მეფეთაქემ იყიდა მეფაბრიკესგან ერთი გრანი 3 კ. — შეუძლია გაყიდოს 9 კ. და ასე ამ კვალბაზე, ხოლო საქმე იმაშია, რომ ვერასოდეს თქვენ ვერ გაიგებთ სისწორით თითონ მეფეთაქემ მართლაც 3 კ. მისცა იმ წამალში, რომელშიდაც თქვენ 9 კ. გასდგინებთ, თუ არა. ასე რომ სშირათ ასაღ წამლებზე აფთიაქარი ღებულობს ფასს ad libidum (სურვილისამებრ). მაგრამ აფთიაქთა რიცხვის გამრავლებამ გამოიწვია თავისუფალი მეტაქება. რის გამო აფთიაქებმა შეიმცირეს ცოტათი მადა და სშირათ 200% ნაკლებსაც ჯერდებიან. ხოლო არ შეიძლია აქვე არ აღვნიშნოთ ერთი გარემოება. ამ რამდენიმე წლის წინეთ ადგილობრივმა აფთიაქებმა ერთმანეთის თანხმობით შეადგინეს ასაღ წამლებზე შინაური ტაქსა, რომლითაც გაცილებით ნაკლებ ფასს ღებულობდენ ვიდრე შეეძლოთ აღება. ამ დღეებში კი ხელში ჩაგვივარდა ასაღთ შედგენილი და გუბერნიის საქმეო მმართველობისგან დამტკიცებული ასაღი სააფთიაქო ტაქსა, რომელშიდაც 259 ასაღი წამალია ჩამოთვლილი. ეს წამლები 1892 წ. საკვადებულ ტაქსაში არ არის მოსხენებული და „ასაღი“ ტაქსა, რომელიც 1899 წ. გამოცდა მთავრობამ, — თფილისში არ არის ჯერ შემოღებული \*\*). ასაღი დამატებითი ტაქსით ფასები აწეულია წინანდელ შინაურულ ტაქსასთან შედარებით. ამის დასამტკიცებლათ მოგვყავს აქ რამდენიმე უფრო გავრცელებული წამლების ფასები წინანდელ ტაქსით და ასაღთ დამტკიცებულთ.

წამლების სახელები ძველი შინაურ. ტაქსა ასაღი დამატ. ტაქსა

	მისასაღი	მ. კ.	მ. კ.
1) Euchininum	მისასაღი	75	1 8
2) Largin	—	1 20	1 50
3) Protargol	—	75	1 »
4) Ferratin	—	30	45
5) Citrophen	—	50	60
6) Argentum Credé	—	1 20	1 50
7) Chininum Iodicum	—	80	1 5
8) Thyocol	—	40	50

მე შემემლო ერთობ ბევრი რიცხვი მომეყვანა ამ გვარი მაგალითებისა, მაგრამ ერთი რომ ადგილი არ მაძლევს ამის ნებას და, მეორე არა მგონია, რომ მეტის მოყვანა საჭირო იყოს, ხოლო კითხვა ასაღ იმაშია, თუ რა საჭირო იყო ფასების აწევა, როცა თვით აფთიაქებმაც კი დაინახეს წამლების გაიაფება შესაძლოთ?

Sandaman.

\*\*) ქუთაისის გუბერნიაში კი შარშან შემოიღეს.



### ქართული თეატრი.

გასულ კვირას ქართულ თეატრში წარმოდგინეს ბელუციის კომედია „უცხოეთი კლუბი“ და გ. ერისთავის „მუნწი“. პირველი პიესა მეტათ მსუბუქია. მისი მომქმედი პირები უპირატესად, მეტათ ხელნაწი გრძობის ადამიანებია. წარმოდგინეთ, ცოლი და ქმარი იურებიან იმისგან, რომ ცოლს ღამით უყვარს სანთელი, ქმარს-კი ბნელში ძილი. ასეთ წერილობებზე აგებული პიესა აზრითაზრ ხიბობს და აზრს ახდენს ადამიანზე. ის უფრო შეფერის არა თეატრს, არამედ სსკა-და-სსკა „გასართობებს“, სადაც მძღვარი ხალხი იკრიბება «დროს გასატარებლათ», რომ გემოელ სადილს შემდეგ მადიანათაც იტინოს და ამით კეჭს მეშობა გაუადვილოს. მე მეონია, მსუბუქებობს ამ აზრის უნდა იყვენ, თუარა ასე ცოტა ხალხი არ დაესწრობდა წარმოდგენას.

დასავსებული პიესა «მუნწი» საჭიროა სრულიათ გამოიცილოს რეპერტუარიდან, როგორც წინააღმდეგე უოველივე სინამდვილის. მსუბუქი გრძობს, რომ ეს პიესა მხოლოდ ერთი უსურსულობაა და მეტი არაფერი.

ითამაშეს ორივე პიესა მწუბობრათ. კარგი იყო ბ. აწუურელი. ბ. აბაშიძე «მუნწის» როლში გააჩინა იყო.

ხედავბათს, «კენეციელი ვაჭრის» წარმოდგენას ხალხი უფრო მეტი დაესწრო, რადგან, ალბათ, კარგ და მწუბობრ თამაშს თუ ვერ დაინახავდა, საკულისსმიერო აზრებს მანც გაიგონებდა. ეს კლასიკური ნაწარმოები მეტათ საინტერესო არის, ერთი მხრით აქ ჩვენ ნათლათ ვხვდებით, თუ როგორ აუქმებს ცხოვრება მოძველებულ განონს. მეასზე ურია შავლასა (უიფიანი) ასესებს ფულს კენეციელ ვაჭრს ანტონიოს იმ პირობით, რომ თუ ვადას გადააცილებს, მამან შავლასას ნება ეძლევა ერთი გიგანტა სორცის გამოტარას თავის მოკალეს. ასეთა პირობა სრულიათ არ ეწინააღმდეგება კენეციის მაშინდელ განონმდებლობას და ურიაც თავის მოთხოვნილებაში განონიერ გზას ადგია. როცა შეკლასს ეტყვიან მსაჯულნი: შეიბრალე შენი მოკალეო, ის უპასუხებს: თქვენ მეუბნებით შეიბრალეო? აი, თქვენ ამდენი მონები გუჯთ, გაანთავისუფლეთ ისინი, მიათხოვეთ ცოლებათ თქვენი ქალიშვილები და იმთაც არგუნეთ ერთი წუთი იმ ნეტარებისა, რომელშიც თქვენ შიკელ სიცოცხლეს ატარებთო. დათანხმდებით ამასუო, და თვითონვე უპასუხებს—არა, თქვენ იტყვიით—მონები ჩვენია და ვიდეც ვიმსახურებთო. მამ მეც ჩემი მომსახურებო. განონიერების მხრით ის სრულიათ მართალია, მარა აქ გამოდგა, რომ განონი ცხოვრებას ჩამორჩენია. ადამიანის გრძობას გაესწრია მისთვის და ამიტომ აქ იბადება ბრძოლა განონს და გრძობას შორის. რასაკვირველია, დაძველებული, ცხოვრების შეუფერებელი განონი ირღვევა. ადამიანობა ეუბნება ებრაელს, მართალია, შენ განონი გარგუნებს მოკალის ერთ გიგანტა სორცს და შეგიძლია ვიდეც მიიღო ის, მაგრამ რადგან თამასქში გიწერია ერთა გიგანტა სორცია, ამიტომ ისე უნდა გამოტარა, რომ სისხლი ერთი წვეთიც არ უნდა დაიღვაროს და გამოტარდი სორციც ერთ გიგანტაზე არც მეტი იყოს და არც ნაკლებო. ამით, რასაკვირველია, ებრაელი ძვეულ იქმნა და თვით განონიც დაირღვა.

წარმოდგინეს პიესა სუსტათ. შუკლასას როლი შეასრულა კ. უიფიანმა, რომელიც სომიერებს სრულიათ მოკლებული იყო.

### წერილები რედაქციის მიმართ.

I.

ქ-ნო რედაქტორო! გაზეთ «კვალის» № 42-ში მოთავსებულია ბ-ნი ქ. მ-ის კორესპონდენცია, რომელიც ამკვრათ თავდება: „დიდთ ვაკვირვებს საზაფხულთ თეატრის კომიტეტის საქციელი. აკერ ეს მეორე-ჯერ არის, რომ „Тифл. Лист.“ კორესპონდენტი, ბ-ნი «Колхидець»-ი ღანძღავს კომიტეტის წევრებს და პასუხი კი არც ერთმა წევრმა არ გაცა. ნუ თუ უოველივე, რასაც ბ-ნი «Колхидець»-ი ამბობს, მართალია? საჭიროთ ვრცნთ ვუპასოხოთ ბ. ქ. მ-ის ამ სამართლიან კითხვაზე შემდეგი: ბ-ნი «Колхидець»-ის საპასუხო წერილი დაუფრებელია გავზახნა ერთმა კომიტეტის წევრთაგანმა „Тифл. Лист.“-ის რედაქციაში, მაგრამ პატივცემულმა რედაქტორმა, არ ვიცით, რა მოსასრებით, ეს წერილი არ დაბეჭდა. შემდეგ ამისა მეორე წერილი გაიგზავნა „Нов. Обзор.“ ეს რედაქციაში, და ჯერ არ ვიცით, დაეთმობა მას ადგილი ამ გაზეთის ფურცლებზე თუ არა. უკანასკნელ შემთხვევაში საპასუხო წერილი დაიბეჭდება ერთ-ერთ ქართულ გაზეთში \*).

პ. კიკელიშვილი.

II.

(ორიოდე სიტყვა ხონის თეატრის შესახებ).

ხონის თეატრის დამაარსებელთ აზრათ ქონდათ ხალხური წარმოდგენები ემართათ და ამკვრათ გონებრივი საზღო ეძლიათ უმრავლესობისათვის. საუბედუროთ, უფულობამ კომპრომისზე წავიყვანა. ბიბლიოთეკის კომიტეტმა გვასესსა ოთხმოცოდე მანეთი და ნაცვლათ გამოითხოვა შემოსავლის ნაწილი. უნდა გამართულიყო უმთავრესათ ხალხური წარმოდგენა, რამდენიმე კი ფასით. შემოსავალი გადაიბოდა ნახევარი თეატრის ფონდისათვის და ნახევარი ბიბლიოთეკას მიეცემოდა. შენობა მალე აიგო. სეზონი უნდა გავტელებულიყო მასის უკანასკნელ რიცხვებიდან პირველ ენკნისთვემდე, პირველმა წარმოდგენამ დაფარა ყოველგვარი ხარჯი. ამის შემდეგ წარმოდგენას რაც ჭიროდა თორემ, მეტი გასავალი არ გეჭონდა. საზოგადოება, იტუობოდა, სიამოვნებით დაიარებოდა თეატრში. მეორე და მესამე წარმოდგენა თავის შემოსავლით წაიღეს ბბ. გუნდამ და მესამეში იღმა. ამის შემდეგ გაიმართა ერთი «საბავშო საღამო» (10 კ.), რომელსაც ასზე მეტი ბავშვი დაესწრო; ერთი სრულიათ უფასო; ერთი სრული ფასიანი («სამშობლო»); ერთი ნახევარ—ფასიანი და სხვა დაკლებული ფასებით—ხალხური (უგ. რიგი 5 კ.). იყო აგრეთვე სამოქალაქო სასწავლებლის სასარგებლოთ და ადგილობრივ სტუდენტების მოსასმარათ. ამის გარდა ადგილობრივმა ტრუზამ ითამაშა ს. კუსში და შემოსავალი დაუტოვა კუსის სკოლას. ამრიგათ მხოლოდ „სამშობლოს“ და „პეპოს“ შემოსავალი უნდა დაჩენილიყო და რათ უკვირთ არამკითხე მამბეებს, რომ ათასები არ დაჩნათ? პირველს წმინდა შემოსავალი 130 მანეთამდე გადაევა ბიბლიოთეკას და მეორესი ჩემ წასვლის შემდეგ განაწილეს. პირველ წარმოდგენებზე გასავალი გეპებოდა მე, პ. მღვიანს და ი. ქუთათელაძეს შემდეგ რამოდენიმეჯერ გასავალი მეპარა პირდაპირ მე ბოლოს კი არჩეული კომიტეტი განაგებდა. თანსა ებარა ქ. ო. წერეთლისას და საზინადრათ გეუჯდა ქ-ნი ო. ლორთქიფანიძე. ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება. „თფილისის ფურცლები“

\*) აქვე ვათავსებთ ბ-ნი ვ. შავლას წერილს ხონის თეატრის შესახებ, რომლის დასტამბვა შემოსხვევით დაგვიგვიანდა. რედ.

—ქ.

ცლის“ (№ 178) მეტრეკე ვი დიდ კითხვითი ნიშნის სვამს ჩე-  
ნი თეატრის შესავლ-გასავლად შესასვბ!

სტუდ. ვ. შავლია.

ქ. ოლესა.  
1 ენენისოვე.

III.

ქ-ნო რედაქტორო! გონოკთ ამ მცირე ბაზათს ადვილი  
დაუთმობთ თქვენ პატრიოტულ გარეუ კვალი“-ს უმასლობე-  
ლეს ნომერში. ჩემი უდროობის გამო «კვალი»-ს ნომერები  
გადუთვალეებელი დამჩნა აგერ კარგა ხანია, მსოფლიო ეს-  
ლა «კვალი»-ს 36 №-ში ვნახე წერილი ბ-ნ დოქტორის თი-  
კანამისა და მასწ. ნაკადის ჩემს შესახებ. მე ძლიერ გან-  
გვირუებაში მომიყვანა ამ წერილმა, რადგანც მე ამ წერილის  
დამწერი არ ვარ და არც სისწორით არის დაწერილი.

ავგოსტოს შუა რიცხვებში ბატონმა თიკანამემ დამიბარა  
ოზურგეთში და მითხრა, რომ იმ კაცმა, ე. ი. ბ. ნაკადიმ,  
შენს სახლში მოსვლით უმართლოთ გარეთის საშუალებით  
გამიღამდა და ესლა შენ თვითონ შელამაჯეო.

მე რაც ვიცნობდი, რასაკვირველია, დაწერილებით ველაზა-  
რაკე, და მან წერა ქალაქზე და ბოლოს მე ხელი მომაწე-  
რინა ჩემს ჩვენებაზე. მე არ მეგონა, თუ იმ ქალაქს რედაქცია-  
ში გზავნიდა და ან უმართლოთ გადასწორდა და ესლა მოვა-  
სხენებთ, თუ როგორ იყო ეს ამბავი.

იგინისა და დილეგს მე გამიხდა ჩემი ასული ავით, რომ-  
ლისათვისაც მოვიწვიე ბ-ნი ექიმი თიკანამე, რომელმაც გა-  
სინჯა ჩემი ავთიყოფი და ორი სხვა პატარა ბავშვები. იქ  
იყო წინეთ მოსული ავთიყოფა ბუჯან ბოლქვაძე, რომლის  
გასინჯვაც თხოვეს ბ. ექიმს, მაგრამ მან უარი განაცხადა: მიზე-  
ზათ თქვა, დამავიანდება, და დამდება, თუ რა ვიქ ვი  
დაჩნა შემდეგ ცოტა ხანს. მე ვუთხარი მასწ. ნაკადის, რომ მისო-  
ბით ვკითხა, რით იყო ავით ჩემი ასული. იმ დროს მე  
ოთასში შევედი და ისინი გარეთ ბაღვანზე იდგნ. რა-  
გორც ამბობენ იქ მყოფებლები, სცვლიათ საჭირო პასუხისა  
ნაკადისათვის ბ. ექიმს შეუფერებელი პასუხი მიეცა და მე რა-  
დგანაც იმ დროს ოთასში ვიყავი, ის შეუფერებელი სიტყვები  
თვითონ არ გამიგონია, მაგრამ იქ მყოფებელმა პირებმა შე-  
დგბ გავმომცეს.

მღვდელი ბარნაბა თენიეშვილი.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .

მასწავლებელ აალთა საზოგადოების  
ს კ მ ლ ა შ ი

დაიწყო ორივე სქესის მოწაფეთა მიღება 25-ს აგვისტო-  
დან. სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სო-  
მხური) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ეს-  
მით და სამი განყოფილებაც რუსულია.

სკოლა იმყოფება, ლერმონტოვისა და გუდოვიჩის  
ქუჩები რომ შეიყრებიან, იმ კუთხეში, სახლი საგარდა-  
ოსერბსკისა, № 12.

კ მ ნ კ უ რ ს ი

ტფილისში, კონსტანტინე იაკობის ძის ზუბალაშვილის სა-  
სელობაზე, სახალხო სახლის პროექტის შესადგენათ.

სახალხო სახლის ამშენებელი კომიტეტი აცხადებს კონკურსს  
თფილისში სახალხო სახლის ამშენებისათვის პროექტის შესადგენათ  
შემდეგი პირობები:

1) სახალხო სახლის აგება განზრახულია მე-X ნაწილში, ვე-  
ლიკონიაჟესკი და კირონი ქუჩების კუთხეში, ადგილზე, რომლის  
სიგრცაა 563 ოთხ-კუთხი საყენი; ადგილი სწორია. ქუჩების სიგანეა,  
უტროტუაროთ 5 საყ.; ტროტუარების სიგანეა 2 არშინი, კირონი  
ქუჩაზე ფასადის სიგრძე—23,82 საყ., ველიკონიაჟ. ქუჩაზე—23,6  
საყ., ადგილის გეგმა შეადგინა ქალაქის მიწის მშობელმა ლარიო-  
ნოვმა.

2) სახალხო სახლში უნდა მოთავსდეს: ა) დარბაზი სათეატრო  
სცენით 600 კაცისთვის. სცენასთან უნდა იყოს ყველა საჭირო ოთა-  
ნი, რომელთა მოთავსება სცენის ქვეშაც შეიძლება; ბ) ჩაის სასმელი  
დარბაზი 200 კაცისათვის; გ) სამკითხველო 50 კაცისათვის და მას-  
თან წიგნების საწყობიც; დ) მოსამსუხურეთა ოთახები. ამასთანვე  
პროექტის შედგენის დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას,  
რომ მომავალში სახლს მიემატება სასადილო ოთახი სამზარეულოთი.

3) სახლის ასაგებათ ე. ი. ზუბალაშვილის მემკვიდრეებმა გა-  
დასდეს 70 ათასი მან. ფასადი უმთავრესის შესავალით პირდაპირ  
ქუჩაზე იქნება; მეორე ქუჩის ფასადი-კი ქუჩიდან ოთხ საყენზე უნდა  
დაიწიოს, რათა წინ ბალი გაშენდეს, სახალხო სახლისა და მელო-  
ბელ საზღვრებს შორის დატოვებული უნდა იქნას დაწესებულის სი-  
განის ადგილი ეტლების მოძრაობისათვის.

4) საუკეთესო პროექტების დასაჯილდოვებლათ ე. ი. ზუბალა-  
შვილის მემკვიდრეები აწესებენ ორ პრემიას: 500 და 300 მანათიანს.  
ეს პრემიები დაენიშნება განსაკუთრებულ ყურის დადგენილისის თა-  
ნახმათ.

5) ყველა დაჯილდოვებული პროექტები კომიტეტის საკუთრე-  
ბა იქნება. არა დაჯილდოვებულ პროექტებს, თუ კომიტეტი მოისურ-  
ვებს, შეიძენს მესაკუთრეებთან შეთანხმებით.

6) 1-ლ დაჯილდოვებულ პროექტის ავტორს, ან თუ მან უარი  
განაცხადა, მე-2 პროექტის ავტორს კომიტეტი დაავალბებს საბოლოო  
პროექტის შედგენას; შემდგენელს ნება მიეცემა ისარგებლოს ყველა  
შემქნილ პროექტებით და ვაღდებულო იქნება შეასწოროს პროექტი  
კომიტეტის შენიშვნების თანახმად. ამ პროექტის შემდგენელს ჯილ-  
დოთ მიეცემა 70 ათას მანათის 1%.

7) საეკიზო პროექტი უნდა იყოს შემდგარი: ფასადებიდან და  
გეგმებიდან დაწესებული მანუბების მიხედვით; პროექტთან ერთად უნ-  
და იყოს მისი წერილობითი ახსნა და მოკლე ხარჯთ-აღრიცხვა.

8) კონკურსი მოხდება ქ. თფილისში; ყველა პროექტები არა  
უგვიანეს 1902 წ. 2 თებერვლის შუადღის 12 საათისა უნდა წარედ-  
გნოს კომიტეტის წევრს თავ გ. მ-ქეს თემანიშვილს (ბარათიანს-  
კის ქუჩა, საკუთ. სახლი) ყველა გეგმები, ახსნა და ხარჯთ-აღრიცხვა  
გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული დევიზით ან ნიშნით. იმავე დევი-  
ზით ან ნიშნით აღნიშნული დახურული კონკურტი, რომელშიაც უნ-  
და იყოს ავტორის სახელი და გვარი და დაწვრილებითი ადრესი.

10) ყურის უფლება აქვს თავის სხდომებზე მიიწვიოს ყველა  
ის პირი, რომელთაც სასარგებლოთ ცნობს, მაგრამ მოწვევით  
მხოლოდ სათათბირო ხმა ექნებათ.

11) კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთ ადგილის  
გეგმის და სხვა ცნობების მიღება შეუძლიათ თავ. გ. მ. თემანიშვი-  
ლისაგან.